და შეიარაღებული ძალების რეპრესიულ აქციებს;

იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსახლეობა და დემოკრატიის ინტერესები, დემოკრატიის ინტერესები, ან ანარმონ იმის გამო, რომ ისინი მათ არ ეთანხმებიან, ან თუ სხვა ლიდერებს მიემხრნენ.

პოლიტიკური დაუმორჩილებლობის ეფექტიანობისთვის აუცილებელია მისი გულგონი თავისუფლება არსებულ ან პოტენციური დიქტატურის პირობებში. ჩამოვითვლით დემოკრატიზაციის დადებითი ეფექტის რამდენიმე ელემენტს, რომლებიც არაძალადობრივ ბრძოლასთანაა დაკავშირებული:

თაში 62 ახალი პოლიტიკური სტრატეგიული დაზარალებული

დექლარაციის ნინაალმდეგ პოლიტიკური კამპანიის დაწყება შეიძლება სხვადასხვა საშუალებით დაიწყოს. უნდა ასეთი ბრძოლა თითქმის არასოდეს ყოფილა გეგმიური და, ხშირ შემთხვევაში, შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ დიქტატურის გარკვეული აქტი იმდენად ალაშქოვებდა მოსახლეობას, რომ იგი ისე ი-

ცვლებდა აქციებს, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რით დამთავრდებოდა. სხვა შემთხვევაში, გაბედული პიროვნება ან მცირე ჯგუფი იწყებდა აქციებს, რომელთაც მოსახლეობა აუბამდა მხარს და ფართო გამოხმაურება მოჰყვებოდა.

სპონტანურობა გარკვეული დადებითი თვისებებით ხასიათდება, მაგრამ უარყოფითი შედეგებიც მოსდევს. დაუგეგმავობა დრო და დრო დემოკრატიის შემთხვევით გადამწყვეტილებებს განაპირობებს, რაც დამუშავებული შედეგების მიზეზი ხდება. დამორჩილებული სისტემის გადარღვევის შემთხვევაშიც კი დემოკრატიული სისტემაზე გადასვლის პროცესში დაუგეგმავობა ახალ დიქტატურას წარმოშობს.

რეალისტური დაზარალებული

დაუგეგმავი სახალხო გამოვლენები, უეჭველად დიდ როლს ითამაშებს მომავალში დიქტატურის ნინაალმდეგ ბრძოლის საქმეში, თუმცა დღეს უკვე არსებობს დიქტატურის დამხობის ყველაზე უფრო ეფექტიანი საშუალებების განსაზღვრის შესაძლებლობა, იმ მომენტის განსაზღვრა, როცა პოლიტიკური სიტუაცია და ხალხის განწყობილება ხელს უწყობს კამპანიის დაწყებას.

რაც უფრო მნიშვნელოვანია მიზანი და რაც უფრო სერიოზულია წარუმატებლობის შედეგები, მით უფრო მნიშვნელოვანია სწორი დაგეგმვა. სტრატეგიული დაგეგმვა ამაღლებს ყველა რესურსის მობილიზებისა და ეფექტიანად გამოყენების ალბათობას. ეს, უნდა რეალისტურად ვთქვათ, უფრო უფრო მოძრაობას, რომელსაც შეზღუდული რესურსები გააჩნია და რომლის მიმდევარნი სერიოზული საფრთხის წინაშე დგანან.

„სტრატეგიის დაგეგმვა“ ნიშნავს იმ მოქმედების თანმიმდევრობის განსაზღვრას, რომელიც დიდი ალბათობით არსებული მდგომარეობიდან სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს — დიქტატურიდან — დემოკრატიულ სისტემამდე მომავალში.

ამ მიზნის მისაღწევად გეგმა, ჩვეულებრივ, ითვალისწინებს კამპანიებისა და სხვა ორ-

განიზაციული აქციების თანმიმდევრობას, რომლებიც მიმართული იქნება დანაგრული მოსახლეობისა და საზოგადოებრიობის მხარდასაჭერად და დიქტატურის დასასუსტებლად.

გენერალური სტრატეგია, რომელიც თავის მიზნებს მხოლოდ არსებული დიქტატურის დამხობით შემოფარგლავს, კიდევ ერთი დიქტატორის წარმოშობის საშიშროებას ქმნის.

დაზარალების სინაული

სამწუხაროდ, დემოკრატიული ოპოზიციის ჯგუფების წევრთა უმრავლესობა არ აღიარებს სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობას, არ ფლობენ სტრატეგიული დაგეგმვის საფუძვლებს. ეს გასაგებია: ნინაალმდეგობის ლიდერებს, რომლებიც მუდმივად განიცდიან დიქტატურის მხრიდან დევნას, უადრესად დატვირთულნი არიან მიმდინარე საკითხებით, უდროობის გამო შესწავლილი არა აქვთ და ვერ ფლობენ სტრატეგიული აზროვნების საფუძვლებს.

ამას ცვლის მარტივი რეაქციის სისტემა დიქტატურის ინიციატივაზე. ზოგიერთი პიროვნება ან ჯგუფი გულუბრყვილოდ მიიჩნევს, რომ, თუ ისინი მხოლოდ მომთხოვნი იქნებიან, მათი მიზანი რაღაც მანქანებით აუცილებლად განხორციელდება.

სხვები კი მიიჩნევენ, რომ საამისოდ სრულიად საკმარისია, თვალის მიადევნონ არსებულ პრობლემებს საკუთარი პრინციპებისა და იდელების შესაბამისად, რაც სავსებით საკმარისი იქნება მათ განსახორციელებლად.

ჰუმანიტარული მიზნების მხარდაჭერა და იდელებისადმი ერთგულება შესანიშნავი რამაა, მაგრამ სრულიად არ არის საკმარისი დიქტატურის დასამხობად და თავისუფლების მოსაპოვებლად.

დიქტატურის სხვა მონივრულად დამდევნილი შეიძლება გულუბრყვილოდ ჩათვალოს, რომ, თუ საკმარისად გამოიყენებენ ძალადობას, თავისუფლებაც და მყარდება. მაგრამ ძალადობა წარმატების გარანტიას არ იძლევა. გამარ-

ჯვების ნაცვლად მან შეიძლება გამოიწვიოს დამარცხება, მასობრივი ტანჯვა ან ერთი-ცა დამოკრეც.

არიან აქტივისტები, რომლებიც „გრძობენ“, რა უნდა გააკეთონ და ამაზე აფუძნებენ თავიანთ მოქმედებას. ასეთი მიდგომა არა მხოლოდ ეგოცენტრიულია, არამედ არავითარ საფუძველს არ გვაძლევს გათავისუფლების გენერალური სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად.

მოქმედება, რომელიც ვილაციის მოფიქრებულ „ბრწყინვალე იდეებზე“ დაფუძნებულია, ასევე, ნაყულაია. ამის ნაცვლად საჭიროა მოქმედება, რომელიც ემყარება დიქტატურის დასამხობად გადამდგმულ, გამოწვლილ გათვლილ „მომდევნო ნაბიჯს“. სტრატეგიული გაანალიზების გარეშე ნინაალმდეგობის ლიდერები ვერ გაარკვევენ, როგორ უნდა იყოს „შემდეგი ნაბიჯი“, რადგან არ განუსაზღვრავთ იმ კონკრეტული ნაბიჯების თანმიმდევრობა, რომლებიც გამარჯვებისთვისაა აუცილებელი. შემოქმედება და ბრწყინვალე იდეები ფრიად მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი უნდა გამოიყენონ დემოკრატიული ძალების სტრატეგიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ზოგიერთმა, რომც შესანიშნავად იცის, რომ არსებობს დიქტატურის ნინაალმდეგ მიმართული უმრავლი ქმედება, მაგრამ ვერ წარმოუდგენია, რით უნდა დაიწყოს, გვირჩევი: „გაკეთეთ ყველაფერი ერთდროულად. ეს შეიძლება სასარგებლოც კი აღმოჩნდეს, მაგრამ — არა შედარებით სუსტი მოძრაობისთვის. მეტიც, ასეთი მიდგომა ვერ გვიკარნახებს, რით დავინწყით, რაზე მოვხდინოთ ძალისხმევის კონცენტრირება და როგორ გამოვიყენოთ შეზღუდული რესურსები.

ზოგიერთი პიროვნება ან ჯგუფი კი აღიარებს დაგეგმვის აუცილებლობას, მაგრამ მხოლოდ ხანმოკლე ან ტაქტიკურ საფუძველზე. ყურადღება ხშირად შედარებით მეორეხარისხოვან საკითხებზე გადააქვთ, უმეტესად მონივრულად დარწმუნებულნი არ არიან, რომ შეიძლება დიქტატურის დამხობის დასაწყისში, ნაცვლად იმისა, რომ ხელთ იგდონ ინიციატივა.

ზოგიერთი დემოკრატიული მოძრაობა არ შეიმუშავებს დიქტატურის დამხობის ყოვლისმომცველ სტრატეგიას. ისინი შინაგანად დარწმუნებულნი არ არიან, რომ შეიძლება დიქტატურის დამხობას საკუთარი ძალებით. ამიტომ, რომ ამგვარი მოქმედების დაგეგმვას ისინი უდგებიან როგორც დროის რომანტიკულ ფლანგვას ან უსარგებლო საქმეს.



სტრატეგიული დაგეგმვის არქონა ხშირად მტკიცედ სამწუხაროა: მოძრაობის ძალები იფანტება, მოქმედება უეფექტოა, ენერგია წვრილმან პრობლემაზე იხარჯება, უპირატესობა გამოუყენებელი რჩება, მსხვერპლი უაზროდ გაიღება.

რადგან გათავისუფლების ყოვლისმომცველი სტრატეგიული გეგმა იშვიათად ან არასოდეს არ დგება, დიქტატურები რეალურზე უფრო სტაბილურად წარმოიჩნდება. ისინი შესაძლებელზე ნლოებით ან ათწლეულობით მეტს ცოცხლობს.



რატომ არის მართლმადიდებლობა ქრისტის მოძღვრების ერთადერთი მემკვიდრეობა?

რა არის მართლმადიდებლობა, რით განსხვავდება იგი სხვა ე.წ. ქრისტიანული მიმდინარეობებისგან, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში ასე მომრავლდა; იქნებ, ქართველები მხოლოდ ტრადიციის ძალით ვანიჭებთ მას უპირატესობას, ჩვენში ხომ ისტორიულად მართლმადიდებლური ეკლესია არსებობს? დღეს სწორედ ამ თემაზე გვესაუბრება დეკანოზი ამირან ამირანაშვილი, თბილისის სიონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის მოძღვარი.



— მამო, რატომ არის მართლმადიდებლობა ქრისტის მოძღვრების ერთადერთი მემკვიდრეობა?

— ამ შეკითხვაზე ობიექტური პასუხის გაცემა დღეს, ალბათ, როგორც არასდროს, უადრესად საჭირო და აუცილებელია, რადგანაც ამდენი მტერი ერთად, ჩვენი ერის რელიგიური ცნობიერების გასახლავად არასოდეს გვეყოლია. მათ მშვენივრად იცნან, თუ ქართველთა რელიგიური ცნობიერებას დაანანევებენ, სულიერი და პოლიტიკური გამოთლიანების ფაში არასოდეს დადგება. ჩვენი ხალხის სულიერი საკითხებზე გასარკვევად საჭიროა ქადაგება, სიტყვის ძალა. უნდა ვიცოდეთ, რა გვწამს, თუ გვსურს, სულიერ წარწყმედას და ეროვნულ გადაგვარებას გადავფარეთ.

— რა არის მართლმადიდებლობა?

— შევეცდებით, მოკლედ გადმოგვცეთ მართლმადიდებლობის, ანუ იმ სარწმუნოებრივი მოძღვრების ძირითადი არსი, რომელიც ქრისტეს ერთიანი ეკლესიის გაყოფამდე არსებობდა.

ბრძენი სოლომონ მეფის თქმით, ღმერთი, რომელიც ყველგან მყოფი სული და სიყვარულია, ზნედაცემულ ადამიანებში ვერ დამკვიდრდება. ამასვე გვასწავლის ახალი აღთქმა და შეგვაგონებს, რომ ქრისტიანული ღმერთის შეცნობა გულით წმიდა, მაღალი ზნეობის მქონე ადამიანს შეუძლია.

— რატომ დაიწყო წარმართება ქრისტიანული ღმერთი?

— როგორც ბიბლიიდან ვიცით, სამოთხიდან განდევნილი ადამიანი და ევას მოდგმა მრავალგვარ ცოდვაში ჩაფელო, კერძოდ, ამბარტანებაში, სიძვარეობაში, მრისხანებაში, კაცის კვლაში, ღალატში, ცილისწამებაში, რამაც ადამიანები ქრისტიანული ღმერთის დააშორა. ამას მოჰყვა რელიგიური ცნობიერების დეგრადაცია — სხვადასხვა პრიმიტიული, მახინჯი რელიგიური ფორმების წარმოშობა.

— რას გულისხმობს?

— ბუნების მოვლენების, მნათობებისა და ცხოველური თავყვანის ცემას, მაგრამ წარმართები ამასოდ დაშვრენ ქრისტიანების ძიებაში, რადგანაც ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს იგი, უმაღლესი ქრისტიანული — ღვთის შეცნობა საკუთარი ძალებით,

ღვთისგან გამოცხადების გარეშე არ შეუძლია.

— როდის ჩაისახა ძველ ხალხებში მონოთეიზმი, ანუ სწავლება ერთ ღმერთზე?

— მას შემდეგ, რაც უფალმა ცოდვის მორევში ჩაძირული კაცობრიობა წარღვნიტ დასაჯა, ერთადერთი ებრაელები იყვნენ, ვისაც გამოცხადებით ებოძა სწავლება ერთ ღმერთზე, როგორც სამყაროს შემოქმედზე.

— მოსეს სჯულს გულისხმობს?

— დიახ, მაგრამ სჯული, რომელიც თავის რჩეულ ერს უფალმა მოსეს საშუალებით მისცა, არასრულყოფილი იყო. იგი ებრაელების ფსიქოლოგიას შეესაბამებოდა, მათ მორალურ-ესთეტიკურ მდგომარეობას ასახავდა. ადამის მოდგმას ცოდვისა და სიკვდილის ტყვეობისგან გათავისუფლების ძალა არ შესწევდა. ებრაელებმა უფლისგან მიიღეს მაცხოვრის მოვლინების აღთქმა, რომელიც ღვთის ხატად შექმნილ ადამიანს სამარცხვინო, მიძიმე მონობისგან დაიხსნა. აღთქმა აღსრულდა — მხოლოდმოთხილი

— რით განსხვავდება ქრისტიანობა სხვა მონოთეისტური რელიგიებისგან?

— იუდაიზმის, ისლამისა და სხვა მონოთეისტური რელიგიებისგან განსხვავებით, მართლმადიდებელი ქრისტიანები ერთ, მაგრამ სამპიროვნ ღმერთს, ანუ ყოვლადწმიდა სამებას — მამას, ძეს და სულიწმიდას ვცემთ თაყვანს.

— ამის შესახებ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებიც წერდნენ...

— სამყაროს შემოქმედი რომ ყოვლადწმიდა სამებაა, ეს გამოცხადებით ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებამაც იცოდნენ. მოსეს ხუთნაბიჯი წინასწარმეტყველებით, გვამცნობს, რომ სამყაროს შექმნაში სამივე ღვთაებრივი პირი მონაწილეობდა: „სული ღმერთისაი“, რომელიც იქცეოდა „ზედა წყალთა“, იგივე სულიწმიდაა, უფალი და ცხოველმყოფელი, ხოლო სიტყვა ღვთისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა („თქუა უფალმან: იქმენი ნათელი“) და რომელიც შემდეგ ჩვენი ცოდვების გამო სასყიდად ზეციდან გარდამოხდა და განკაცდა — იესო ქრის-

ტი. ღვთის პირთა სიმრავლეზე მიუთითებს, აგრეთვე, შესაქმნის შემდეგი მუხლები: „და ღმერთი ერთიანი და ღმერთი სამი“. „თქუა უფალმან ღმერთმან: აჰა, ადამ იქმნა, ვითარცა ერთი ჩუენთაგანი“.

— სხვა მონოთეისტური რელიგიების ღმერთი ერთპიროვნია?

— დიახ, ასეა! მათ მიერ გააზრებული ერთპიროვნანი ღმერთი მკაცრი და დესპოტიკა. მხოლოდ ყოვლადწმიდა სამებას შეიძლება ვუწოდოთ სრულყოფილი ერთობა სიყვარულში, ანუ ღვთის სამპიროვნების გამოა ღმერთი სიყვარული.

— რა შედეგი მოჰყვება სამების ერთ-ერთი პირის, ანუ ჰიპოსტაზის რაიმე ნიშნით დაბლა დაყენებას?

— სამების სამივე პირი ერთსა და ერთმანეთსა. სანინააღმდეგოს მტკიცება არამართლმადიდებლურ ქრისტიანულ მიმდინარეობათა ცრუსწავლებაში, ანუ სამების რომელიმე პირის (ჰიპოსტაზის) რაიმე ნიშნით დაბლა დაყენება, არღვევს სამების წყურთა შორის სუბორდინაციულ დამოკიდებულებას და, აქედან გამომდინარე, მისი მიმდევრები არა ერთ, არამედ სამ ღმერთს აღიარებენ, ანუ ფაქტობრივად მონოთეიზმიდან პოლითეიზმზე გადადიან.

— რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან სამების ჰიპოსტაზები?

— ყოვლადწმიდა სამების სამივე პირი შეურყევლად შეერთებული და განუყოფელად განყოფილია. ამ საკვირველ ერთობაში ჰიპოსტაზები ერთმანეთისგან მხოლოდ საკუთარი თვისებებით განსხვავდებიან.

— რას გვეტყვი სამების პირველ ჰიპოსტაზზე?

— მამა ღმერთი ყოველთა მიზეზი და დასაბამია, მხოლოდ ის არის უმიზეზო და უშობელი. ბუნებით ერთი, მხოლოდმოთხილი ძის მამა და ყოვლადწმიდა სულის გამოვლინებელია. ძე ღმერთი, სიტყვა ღვთისა, უფალი ჩვენი იესო ქრისტიანი იშვა მამისაგან უწინარეს საუკუნეთა. მი-

სი შობა უფამო და დაუსაბამოა. ძე ღმერთი, უხილავი ღვთის სრული ხატი, „მარადის იყო მამისა თანა“ დაუსაბამოდ ღვთისგან შობილი.

— მამაც ღმერთია, ძეც და სულიწმიდაც... სამ ღმერთს ვაღიარებ?

— მართლმადიდებლებს მტკიცედ გვწამს, რომ მამისაგან ძის შობილება მარადიულია, ასევე, მამისგან სულიწმიდის გასომავლობაც უფამო და დაუსაბამოა. ვაღიარებთ შობისა და გამოვლინების გამოვლას, მაგრამ სამების ჰიპოსტაზთა ურთიერთდამოკიდებულების სახე ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელია. მამაც ღმერთია, ძეც და სულიწმიდაც, მაგრამ სამ ღმერთს კი არ ვაღიარებთ, წმიდა სამებას ერთ ღმერთად ვქადაგებთ.

— რას ეწოდება დოგმატური ღვთისმეტყველება?

— მეტყველებს, რომელიც სარწმუნოების თეორიულ მხარეს, ანუ მართლმადიდებლური ეკლესიის საღვთისმეტყველო სწავლებას გადმოგვცემს და განმარტავს, დოგმატური ღვთისმეტყველება ეწოდება.

— რას ნიშნავს დოგმატი?

— დოგმატები საღვთო გამოცხადებით მიღებული ქრისტიანული სწავლებების რელიგიის არსს წარმოადგენს.

— რატომ არ შეიძლება დოგმატებში ცვლილებების შეტანა?

— დოგმატების წარმომავლობა ღვთაებრივია, იგი არ არის ადამიანის გონებისა და აზროვნების ნაყოფი. ამდენად, მათთვის რაიმეს გამოკლება ან დამატება, ანუ ნებისმიერი სახით შეცვლის უფლებს არავის აქვს. დოგმატური სწავლებიდან მცირე გადახრასაც კი მწვალებლობას, ერესს წარმოშობს და ეკლესიას რღვევით ემუქრება.

— დოგმატების ხელყოფისა და ქრისტიანული სწავლების პირველი საუკუნეში ჰქონდა ადგილი...

— მართალი ბრძანებით, ქრისტეს მოწაფეების სიცოცხლეშივე ებრძოდნენ დოგმატებს, ამიტომაც უგ-

ძინებელი მტრისთვისაც კი არ გამოუტანია. აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესია, სარწმუნოებრივ საკითხებზე ატეხილ დავაში იძულების ნებისმიერ მეთოდს გამოიყენებდა. იგი დღემდე ამ პრინციპის ერთგული რჩება. წმიდა ათანასე დიდი (293-373 წლები), რომელიც მთელი სიცოცხლე არიოზელთა ერესს ებრძოდა და მათგან დაუნდობელ დევნას განიცდიდა, ამბობდა: ჭეშმარიტი რელიგია იმისდა მიხედვით იცნობა, იყენებს თუ არა ძალდატანების მეთოდებს. მისი აზრით, სარწმუნოებისთვის დევნა სატანის მოგონილია.

— სამწუხაროდ, რომის კათოლიკური ეკლესია თავს ვერ მოიწონებს ამგვარი დიდსულოვნებით...

— მართლაც, ასეა! გამოგონილ თუ ნამდვილ მტრებთან კათოლიკები საუკუნეთა განმავლობაში იყენებდნენ ძალდატანების მეთოდებს.

— ინკვიზიცია გამახსენდა!

— ღვთისგან ნაქადაგებ მოძღვრებაში მეტწიერული კვლევის საბაბით შეტანილ სახლებსა და დოგმებს „განვითარებას“ მოჰყვა სწორედ ინკვიზიცია (XII-XIX საუკუნეები), რაც მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანი ღვთისა და ეკლესიის სახელით სატანას ემსახუროს.

— რას ნიშნავს სიტყვა „ინკვიზიცია“?

— inquisitio ძებნას ნიშნავს. ვითომდა ერესთან საბრძოლველად შექმნილ ამ სასამართლო-პოლიციურ დაწესებულებას საერთო არაფერი ჰქონდა ქრისტეს ეკლესიასთან.

— რა ჩაუყარა საფუძველი ინკვიზიციას?

— პაპმა ლუციუს მესამემ, იმპერატორ ფრიდრიხ I ბარბაროსასთან შეთანხმებით.

— კი მაგრამ, ეკლესია ხომ კრძალავდა დამნაშავეთა სიკვდილით დასჯას?

— მოციქულთა 27-ე და კონსტანტინეპოლის მეორე ადგილობრივი კრების მე-9 კანონებით ეკლესია სასტიკად კრძალავდა დამნაშავეთა ფიზიკურ დასჯას, მაგრამ რატომღაც კათოლიკეები მსოფლიო კრებულს მიიწვევენ, ერეტიკოსების სიკვდილით დასჯა დაადგინა. გარდა ამისა, ლატერანის მესამე (1179 წელი) და მეოთხე (1215 წელი) კრებებმა მორწმუნეებს მოვალეობად დააკისრეს ერეტიკოსებისა და მათი მფარველების დაბეზღება საეკლესიო ხელისუფლების წინაშე, ეკლესიის მთავარ ამოცანად კი მწვალებელთა მოძებნა და დასჯა გამოცხადდა.

— როდის დაიწყო ინკვიზიციამ დასჯის ფიზიკური მეთოდების გამოყენება?

— პაპი ინოკენტი მესამის დროს (1196-1216 წლები), ხოლო მწვალებელთა მოძებნა და გასამართლება სპეციალური რწმუნებულებს, ანუ ინკვიზიტორებს, პაპ გრიგოლ IX-ს დროს (1231-1235 წლები) დაეუკალა.

ესაუბრა
ნიკო ბოკიაშვილი
დასასრული
შედეგ ნომერი

ღვთისმშობლის «სამხელისანი» ხატი

„ტრიხერუსას“, ანუ ღვთისმშობლის „სამხელისანი“ ხატის ისტორია წმიდა იოანე დამასკელის სახელს უკავშირდება. 730 წელს ბიზანტიის იმპერატორმა ლეონ ისავრიელმა გამოსცა ვერდიქტი, რომელიც ხატთა თაყვანისცემას კრძალავდა.

წმიდა იოანე დამასკელმა ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა ამის წინააღმდეგ. იმპერატორმა ლეონმა წერილი გაუგზავნა დამასკოს ხალიფას, რომელიც წმინდანს სამშობლოს ღალატში ადანაშაულებდა. ხალიფამ ბრძანა, მარჯვენა მოეკვეთათ მისთვის, რაც მაშინვე აღასრულეს.

ხალიფას მრისხანება სადამოხანს შედარებით დაცხრა და იოანემ, მეგობრების მეშვეობით, მას საკუთარი მარჯვენა გამოსთხოვა დასამარხად. შუალამისას სამლოცველო ოთახში გამოკეტილმა მოკვეთილი მტევანი მკლავს შეუერთა, მუხლებზე დაემხო და მხურვალედ შესთხოვა ღვთისმშობელს, ხელი გამომრთ-

ვლი უფლის სადიდებელი საგალობლების შესაქმნელად.

ხორციელი და სულიერი ნამებით დაქანცულ იოანეს ყოვლადწმიდა ქალწულის ხატის წინ ჩაეძინა. სიზმარში მას ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა: „აი, გაგიმრთელდა ხელი, ნუ სწუხარ, იმის შესრულებაზე იზრუნე, რაც ლოცვაში აღმითქვი“.

გაღვიძებულმა იოანემ სასწაული იხილა: მოკვეთილი მტევანი მაჯაზე იყო მიერთებული. მადლიერების გრძობით აღვსილმა ოსტატს ვერცხლის ხელი გააკეთებინა და თავისი მფარველის ხატზე მიამაგრებინა, რის გამოც მას „ტრიხერუსა“, ანუ „სამხელისანი“ ეწოდა.



სულითვის სასარგებლო ჩრევები

● რწმენა ლოცვის გასაღებია. სადაც რწმენა არ არის, იქ ლოცვაც ამაოა. როცა ღმერთი შენს ლოცვებს ზოგჯერ არ ისმენს, საკუთარ თავს ჰკითხე, გაქვს კი რწმენა?

● ღვთისთვის არაფერია სიყვარულზე უფრო სათნო. იმაზე მეტად არაფერი აამებს, ვიდრე მისდამი სიყვარული ანთებული გული. სიყვარულის გარეშე ადამიანის ნებისმიერი მოქმედება, როგორც დიდი და კეთილიც არ უნდა გვეჩვენოს, არაფერს ნიშნავს ღვთის წინაშე, მისი საწინააღმდეგოც კია.

● ადამიანის სული ამა სოფელში დინების საწინააღმდეგოდ მცურავ ზომილად ჰგავს. ერთ ადგილას ვერ გაჩერდება და, თუ ძალისხმევა მოაკლდება, წინ ვერ იცურებს და დაიღუპება.

● ბოროტების არქმნა სათნო ცხოვრების მხოლოდ პირველი საფეხურია, ანუ გადასასვლელი ცოდვილი ცხოვრებიდან სათნოებისკენ. სულის ხსნისთვის მხოლოდ ბოროტებისგან თავის შეკავება არ კმარა, სიკეთეც უნდა ვთვსოთ.

● ღმერთმა ცოდვები რომ მოგიტევოს, ორი-სამი დღის ლოცვა საკმარისი არ არის, მთელი ჩვენი ცხოვრება უნდა შეეცვალოს, რათა ცოდვა დაეტოვოთ და სათნოება ვამრავლოთ.

ერეკლე გაბედაძე: გარდასვლილი მეუღლის სული სხადუი ვიხილა

ერეკლე გაბედაძე ადრე დაქვრივდა. მისი საყვარელი მეუღლე პირველ მშობიარობას გადაჰყვა. უბედური ქმრის თვალს ცრემლი არ შეშრობია. როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო მისი მწუხარება, რომ უდროოდ დაღუპული საყვარელი ადამიანის სული, ღვთის ნებით, ცხადში იხილა.

— ოჯახი სიყვარულით შექცემნით. თინიკომდე უამრავ ქალთან ვემეგობრობდი, მაგრამ მათთან ურთიერთობა დიდხანს არ გრძელდებოდა, ხანმოკლე რომანების შემდეგ ყველაფერი მთავრდებოდა. სერიოზული გრძნობა არასოდეს განმიცდია. არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ პირველი შეხვედრისთანავე ვიცოდი, რომ ჩემი გახდებოდა... თვალეზი ჩავხედე და გავიფიქრე: სად იყავი ამდენ ხანს, შენს გარდა ცოლად არავის შევიერთავ-მეთქი.

— რამდენ ხანს იცხოვრეთ ერთ ჭერქვეშ?
— 2 წელი, 8 თვე და 19 დღე... ეს ყველაზე ბედნიერი დრო იყო ჩემს ცხოვრებაში. თინიკოს სიკ-

ვდილმა ჩემი სიცოცხლეც დაამთავრა. შვილები რომ არა, ალბათ, თავს მოვიკლავდი.

— რამდენი ბავშვი გყავთ?
— თინიკომ ტყუუპები გააჩინა, ორი ბიჭის მამა ვარ.

— რამ გამოიწვია თქვენი მეუღლის სიკვდილი?
— მშობიარობის მერე სისხლდენა დაეწყო, ექიმებმა ვერ გადაარჩინეს. დიდება უფალს, ბავშვები ჯანმრთელები არიან... თინიკო ყველას ძალიან უყვარდა, მარტო მე კი არა, უამრავ ადამიანს დააკლდა. სათნო, მზრუნველი, მშვიდი პიროვნება ნებისმიერ მამაკაცს გააბედნიერებდა, ისეთი ხასიათი ჰქონდა. ყველას უყვარდა... ჩემი ოჯახის წევრები, ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები აღფრთოვა-

ნებულები იყვნენ მისი ადამიანობითა და კაცთმოყვარეობით. თინიკოს სიკვდილმა საშინელ დეპრესიაში ჩამავადო, ყოველდღე მივდიოდი საფლავზე, რატომღაც იქ მეგულებოდა, თუმცა მსაყვედურობდნენ, ამდენი გლოვით გარდაცვლილის სულს აწუხებო, თავს მაინც ვერ ვიკავებდი, ქლივით ვეკითხებოდი, თვალზე ცრემლი არ შემშრობია. დიდიდან დაღამებამდე საფლავზე ვიყავი, შინ გვიან ვბრუნდებოდი, გამოუფხიზლებლად ვსვამდი, აღარაფერი მაინტერესებდა.

— ბავშვებზე ვინ ზრუნავდა?
— ბიჭებს დედაჩემი და მამაჩემი უვლიდნენ, თინიკოს მშობლებიც არ აკლებდნენ მზრუნველობას დაობლებულ შვილიშვილებს, გვერდში მედგნენ, მამხნევებდნენ.

— როგორ გამოხვედით მდგომარეობიდან?
— ისევ თინიკომ მიხსნა... როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო ჩე-

მი მწუხარება, რომ ღვთის ნებით, დაღუპული მეუღლის სული გამოემეცხადა.

— სიზმარში იხილეთ?
— არა, ცხადში... თინიკოს გარდაცვალებიდან სამი თვის თავზე ტირილისგან დაქანცულს გამთენიისას ჩამეძინა. დაახლოებით დილის 9 საათზე ვიღაცამ მკლავზე ხელი მომიკიდა და მაგრად შემაჯანჯლარა. თვალი გაავახილე და რას ვხედავ, გვერდით თინიკო მიწვეს, ცოცხალია და მხიარული; მიყურებს და ნაზად ელიძება.

— იქნებ გეძინათ?
— არა, არა!.. მართალია, ქრისტიანი ვარ, მაგრამ სულის უკვდავება მაინც დამაინც არ მჯეროდა. რასაც ახლა გიყვებით, მე რომ არ გადამხდომოდა, თქვენსავით ეჭვი შემეპარებოდა... თინიკო ცოცხალივით მესაუბრებოდა. უცებ მომეჩვენა, რომ კომპარულ სიზმარში ვნახე თინიკოს სიკვდილი, სინამდვილეში ცოცხალი იყო და შევებით ამოვიუსუნთქე, მაგრამ, როცა ხილვა გაქრა, მივხვდი, რომ ჩემს დასამშვიდებლად გამოემეცხადა. მას შემდეგ შევიცვალე, დავმშვიდდი, სასმელს აღარ ვსვამ, შვილებზე ვზრუნავ. ვიცი, რომ თინიკო ცოცხალია, სხვა განზომილებაში არსებობს და, როცა უფალი ინებებს, უთუოდ კვლავ შევხვდები იმქვეყნად.

როდის გადავხსნათ პანაშვილები ახლად გარდასვლილს?



ახლად განსვენებულს ეკლესიაში პანაშვილები უნდა გადაეწესებოდეს გარდაცვალებიდან პირველ დღეს, მესამე დღეს — როცა უფლის წინაშე წარდგება, მეცხრე დღეს — როცა მეორედ წარდგება უფლის წინაშე და მეორემოცე დღეს — როცა პირად სამსჯავროზე წარსდგება.

ორმოცის შემდეგ მიცვლებულს პანაშვიდს ვუხდით გარდაცვალების ყოველ წლისთავზე და დაბადების დღეს. გარდა ამისა, ჭირისუფალი უნდა დაესწროს წლის განსაკუთრებულ დღეებში ეკლესიის მიერ დანიშნულ საზოგადო პანაშვილებს.

გასვენების დღეს მიცვლებულს მღვდელმა წესი უნდა აუგოს ან ეკლესიაში, ან — სახლში. სასურველია, გარდაცვლილი ისე დავასვენოთ, რომ პირით აღმოვაკვლით უყურებდეს. თავთან უნდა დავედგათ ნაკურთხი წყალი, ხორბალი და დავეუნთოთ კანდელი. ყველაზე კარგი და

ტრადიციული ფორმა საგალობლების კითხვა წმიდა და ვითი წინასწარმეტყველის „ფალმუნებიდან“.

დიდი მნიშვნელობა აქვს მღვდლის მიერ მიცვალბულის წირვაში მოხსენიებას, რომლის დანყებამდეც გარდაცვლილის სახელზე უნდა შეიძინოთ სეფისკვერი. მოსახსენიებელ ფურცელთან ერთად სეფისკვერი შესაბამისად მიცვალბულის მოხსენიების ერთ-ერთი ფორმაა სანთლის დანთება. საამისოდ ეკლესიაში გამოყოფილია საგანგებო კუთხე მაცხოვრის ჯვარცმის გამოსახულებით.

გვერდი მოაზრდა ნინო გოქიაშვილმა

კითხვა-პასუხი

საკურთხეველში ვინაა რომ შევირდეს, იქაურებს მინაზრ-მოხაზროს და ამ ფაქტის შემსწრე მორწმუნე, ავჯიტი მთავრად, დამნაშავე მოკლას, ცოდვად ჩაითვა?

— უფალი გვასწავლის: „არა კაც ჰკლა!“ ადამიანისთვის სიცოცხლის წართმევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ იგი მომხდური მტრისგან იცავს თავს, ოჯახის წევრებს, მოყვასს, სამშობლოს. ქრისტიანს მოეთხოვება მორჩილება, თავშეკავება, მრისხანებაში ჩავარდნა და კაცის მოკვლა, რა თქმა უნდა, ცოდვაა. დამნაშავეს დასჯა უფალს კაცისთვის არ მიუხდევია, ეს მისი პერერგატივაა. ჩვენი ცოდვების გამო ყველას საკადრის ღმერთი მოგვაგებს.

მოსვლავა თუ არა სამოთხეში უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა, რომელიც ავტომატის მძღველი იქნა?

— საერთოდ, ადამიანი ჯოჯოხეთში ხვდება მოუწინიებელ ცოდვათა გამო. თუ ახალგაზრდა მორწმუნე იყო, ეკლესიაში სისტემატურად დაიდოდა წირვა-ლოცვაზე დასასწრებად, მოძღვარი ჰყავდა, რომელსაც აღსარებას აბარებდა და ზიარებას იღებდა, ანუ უცოდველი წარსდგა პირად სამსჯავრო უფლის წინაშე, ანდა სიცოცხლეში გაკეთებულმა სიკეთემ მისი ცოდვები გადაწონა, რა თქმა უნდა, გაქსნება ცათა სასუფეველის კარი და სამოთხეში მოხვდება, მაგრამ თუ გარდაცვლილი ურწმუნო ათეისტი იყო, ცოდვის შვილი, არ ეზიარებოდა, არა მგონია, სამოთხეში მოხვდეს.

როდის ვაკურთხევირთ მოძღვარს გარდაცვლილ ახლოგაერთა საფლავში?

— საფლავი ერთადერთი სიმბოლოა იქ დაკრძალული ადამიანისა. ეკლესიის მიერ საფლავების კურთხევის დღე ოფიციალურად დადგენილია უფლის ბრწყინვალე ალდგომის მეორე დღე — ორშაბათი. საერთოდ, საფლავების კურთხევა ნებისმიერ დროს შეიძლება, მაგრამ წელიწადში ერთხელ აუცილებელია. საერთოდ, როცა მოძღვარი საფლავს აკურთხებს, უფალს შესთხოვს, დაიცვას მიცვალბული, რათა იგი ბოროტ ძალთა სამკვიდრო არ გახდეს.

შეიძლება თუ არა სახლის აშენება იმ ადგილას, სადაც გადმოცემის თანახმად ოდესღაც ეპლესია იდგა?

— ერთდეთ სახლის აშენებას იმ ადგილას, სადაც უწინ ეკლესია იყო. სასურველი არ არის, მინა, რომელზეც ღვთის მსახურებისთვის გაიჭრა საძირკველი, ადამიანმა თავისი მატერიალური მიზნებისთვის გამოიყენოს. ეკლესიის ფუძეზე აშენებულ სახლში მცხოვრები ადამიანები, ბუნებრივია, ცოდვებსაც სწადიან, რაც უფლისთვის განკუთვნილ ადგილს შეურაცხყოფს.

განხილვის ტექნოლოგია:

როგორ კეთდება დემოკრატიის ყოფილ სსრ კავშირში

ლიბერალური იმპერიალისტების ტვიტბოგანებით დაპყრობილ სახელმწიფოს ძალიან გაუჭირდება „მოყვარულთა“ მკლავებიდან თავის დაღწევა: „სიყვარული“ სიყვარულად, ანუ განადგურებამდე, რომელსაც მაშინ მიაქცევენ ყურადღებას, როცა ძალიან გვიან იქნება.
საერთაშორისო პრობლემებში კარგად გარკვეული მიმოხილვები ასეთ განხილულ ქვეყნებზე პოსტსაბჭოთა სივრცეში, უნინარეს ყოვლისა, საქართველოს, უკრაინასა და ყირგიზეთს მიიჩნევენ.

მათთან ერთად, ცხადია, არის უკრაინაც, სადაც ხელი-სუფლების სათავეში „ნარინჯისფერების“ მოსვლის შემდეგ დასავლეთში, უნინარეს ყოვლისა, აშშ-მ მყარად მოიკიდა ფეხი და აქტიური საქმიანობა დაიწყო მოსახლეობის მანიპულირების მიზნით, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოცდითა და მათი საშუალებით.

ესკაპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ საქმიანობას საფუძვლად უდგება პენტაგონში დამუშავებული „ქსელური“ ომების თეორია, რომელსაც მეგობარ უკრაინაში პრაქტიკულად განახორციელებს აშშ სპეცსამსახურები და სამოქალაქო სექტორი. შედეგად, ევროპის ეს უდიდესი ქვეყანა „მართული ქაოსის“ ხელქმნილ მავალითა და იქცა.

ამ ყველაფერს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების კვირბადას.

დასავლეთის ფონდების ბანდის, უპირველესად, უკრაინის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოკვება. ახლა უკვე საყოველთაოდ გაცხადდა, რომ ყველაზე უფრო პოპულარული და მასობრივი ელექტრონული და ბეჭდური პრესა ფაქტობრივად სხვადასხვა ფონდებისა და ორგანიზაციების მიერაა შესყიდული, მესამე პირებზე გაფორმებული და უკრაინული მხოლოდ ნომინალურად რჩება. ბუნებრივია, რომ მათი „ობიექტურობა“ დასავლეთის თვალსაზრისის ჩარჩოებშია მოქცეული. იხვეწება პრესის მანიპულირების მეთოდები და ხერხები, რომლებიც ობიექტულზე ზემოქმედების გამოცდას უკრაინის მასმედიაში გადის. ამას ემსახურება პროგრამა „სივიკუსი“, რომელიც დასავლეთის კვლევითი პროექტია და შორსგამიზნული ამოცანებისთვისაა შექმნილი.

პროექტის ოფიციალური ადგილსამყოფელი ვაშინგტონშია. ეს კვლევითი ცენტრი სწავლობს და აანალიზებს სამოქალაქო საზოგადოებაში შექმნილ ვითარებას და მისი დასკვნები რეკომენდაციების სახით უკრაინელ პოლიტიკოსებს უბრუნდებათ, რომლებიც პროდასავლური შეხედულებების მიმდევარი და თავიანთი მნიშვნელობა არიან. უკრაინაში ამ პროექტს მხარს უჭერს მოგების არმქონე ორგანიზაციების რეგიონული რესურსცენტრების ლიგა და ამერიკული ცენტრი „ქაუნტერპარტი“. მხარდაჭერილი კი არის, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ იურიდიულად არასდროს არის დაფიქსირებული. ხოლო ის ლიგა, რომელ-

ზეც ვლაპარაკობთ, იმ გრანტების კოორდინატორია, რომელთა რეალიზება დასავლეთის, უნინარეს ყოვლისა, აშშ-ს პრეროგატივაა.

უფრო საოცარი კი ისაა, რომ აშშ სპეცსამსახურებისა და ისრაელის მოლაპარაკების შედეგად ამერიკული ორგანიზაციის „ქაუნტერპარტის“ შტაბბინა უკრაინაში ისრაელის საელჩოს შენობაშია განთავსებული. ამ ფაქტს საფუძვლად ასაიძულებენ, მაგრამ თეორიულად ნებისმიერს, ვინც შეეცდება გაარკვიოს ისრაელის როლი და ადგილი ამ პოლიტიკურ ყალბობებში, მიაწვებენ ანტისემიტის იარაღებს.

ამერიკელი ესკაპერტები, რომლებიც „მესამე სექტორის“ პრობლემებზე მუშაობენ, ტერმინს „სამოქალაქო საზოგადოება“ (სს) შემდეგნაირად განმარტავენ: „სამოქალაქო საზოგადოება არის ინსტიტუტების, ორგანიზაციებისა და ცალკეული ინდივიდების სამოქმედო სფერო, რომელიც სცდება ოჯახის, სახელმწიფოსა და ბაზრის ჩარჩოებს, რომლებშიც ნებაყოფლობით ერთიანობაში ადამიანები საერთო ინტერესების გასაფართოებლად“.

ამ დეფინიციის გაანალიზება ოთხი საბაზო ნახნავის მეშვეობითაა შესაძლებელი. პირველი ნახნავი სტრუქტურულია სიდიდის, აგებულია, საკვლევი ობიექტის მხარდაჭერის თვალსაზრისით.

მეორე ნახნავი საკანონმდებლო და პოლიტიკური სფეროშია ნორმატიული (ნებადართული) ჩარჩოების თვალსაზრისით, იქ, სადაც კვლევის ობიექტი ფუნქციონირებს.

მესამე ნახნავი ფასეულობათა ორიენტაციაა, რომელიც კვლევის ობიექტის ეთიკური ნორმებისა და კულტურული ელემენტების სახითაა წარმოდგენილი.

დაბოლოს, მეოთხე ნახნავი — გავლენის ან ფუნქციონირების ნახნავი სოციუმის საინფორმაციო სურათზე სამოქალაქო ინიციატივების გავლენის დონის დადგენის თვალსაზრისით.

პროექტის მიზნები ტრივიალურისგან შორს დგას და მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებისა და ორგანიზაციებისადმი ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით ნდობისა და ლეგიტიმურობის დონის ასამაღლებლად, სამოქალაქო საზოგადოების ფასეულობათა გასაფართოებლად მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში საზოგადოებრივი ინსტიტუტების, ორგანიზაციებისა და



ლიდერების პროფესიონალიზმისა და პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად.

ეს მეთოდოლოგია შემუშავებულია ლონდონის ეკონომიკური სკოლის მეცნიერების მიერ ჰელმუტ ანჰაიერის ხელმძღვანელობით. ამ „სკოლის“ გაღდა პროგრამის დამუშავებასა და რეალიზაციაში მონაწილეობდა მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტი და პარკვარდის უნივერსიტეტი, აგრეთვე, ნაკლებად აფიშირებული კვლევითი ცენტრი, რომელიც, სავარაუდოდ, პენსილვანიის შტატში მდებარეობს. პროექტს აფინანსებს „რენდ კორპორეიშენი“, საყოველთაოდ ცნობილი ამერიკული სტრატეგიული ცენტრი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული მომავლის სტრატეგიის რეალიზაციასთან, კერძოდ, „ოქროს მილიარდის“ რესურსების მართვასთან.

მრავალრიცხოვანი დასავლური ფონდები, რომლებიც უკრაინაშია ფესვგადგმული, განახორციელებს ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის ე. წ. კლასტერულ-სექტორულ ანალიზს, რაც „სივიკუსის“ სოციალურ-პოლიტიკური დებულებების რეალიზაციისთვის ხელშეწყობას ითვალისწინებს.

ლიზნებს უკრაინის რეგიონების დონეზე.

პროგრამის დანაყოფები შემდეგ მიმართულებებზეა კონცენტრირებული: „ცხოვრების ხარისხი: ტენდენციები და განჭვრეტა“, „მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და შემოსავლების საკითხები“, „სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების მაჩვენებლები“, „კულტურის განვითარება“, „სამართლიანი სახელმწიფოსკენ“, „ადამიანი და ოჯახი“, „კონკრეტული სოციალური პოლიტიკა“, „ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და მათი ცვლილების ტენდენციები“, „საანარსო მუშაობის ეფექტიანობა“, „სტრუქტურული თავისებურებები და საერთო ეკონომიკური მახასიათებლები“, „ვინ არის ვინ“, „ინვესტიციების გავლენა“, „ჩრდილოეთი ეკონომიკის პრობლემა“, „მრეწველობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები“, „სოფლის მეურნეობის ზოგიერთი ტენდენცია“, „რეგიონი უკრაინის ეკონომიკაში“, „სოციალური ინვესტიციების პოლიტიკა“, „რეგიონი ერთიან უკრაინაში — ერთიან ევროპაში“.

ამკარად ჩანს, როგორი ყოვლისმომცველია აღნიშნული პროგრამა და რა სერიოზული

გავლენის მოხდენა შეუძლია მას ქვეყნის განვითარებაზე. მაგრამ ისიც საცოდნელია, რომ ამ კვლევის შედეგების მხოლოდ ბანალური მხარე გამოაქვთ საჯაროდ, ხოლო სპეციალისტები და ესკაპერტები იღებენ ინფორმაციას, რომელიც რიგით მოქალაქისთვის მიუწვდომელია.

მაგალითად, მიმართულიდან „სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მოსახლეობის მოლოდინის დაკმაყოფილების“ პრობლემის ანალიზისას გამოიყენონ მოლოდინის მართვის თეორიის უაღრესად დახურული მასალები, რომლებიც დამკვეთებს ნარედგინება განსახორციელებელი ტაქტიკის დასამუშავებლად და სარეალიზაციოდ.

„ნარინჯისფერთა“ ხელისუფლების სათავეში მოხვედრის შემდეგ დასავლური ფონდების საქმიანობა უკრაინაში დიდი მასშტაბით გაიშალა. ამ საქმიანობაში უფასო თანამშრომლების სტატუსით ჩაბმული არიან უკრაინის სოციოლოგები, შს სამინისტროს თანამშრომლები და ადმინისტრაციული რესურსი.

მინავალი სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ადგილობრივი ცენტრების სახელით ტარდება,

სინამდვილეში უკრაინის დასავლეთელი კურატორების მიერ არის ინიცირებული.

სპეციალისტები დარწმუნებული არიან, რომ თუ საქართველო წინააღმდეგობას არ გაუწევს ისეთ სტრუქტურებს, როგორც „რენდ კორპორეიშენი“; უკრაინის კრახი, განსაკუთრებით, მისი ეკონომიკის, გარდუვალია.

ვის აძლევს ეს ხელს? უნინარეს ყოვლისა, იმათ, ვისაც დაგვიმლო აქვს, დღეს ქვეყნის „მსოფლიო ეკონომიკაში“ სრული ინტეგრაციის გზით მიღწევის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლეობის 15 მილიონამდე შემცირებას. ეს რიცხვი საჯაროდ პირველად 1980 წელს გაცხადდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის გამოსვლაში. ასეა განსაზღვრული მსოფლიო მოსახლეობის ერთ მილიარდამდე — ოქროს მილიარდამდე შემცირების პროგრამით, რომელიც ზემოთ ვახსენეთ.

ზოგიერთი ქვეყნის ხელმძღვანელობა, რომელიც გლობალურად აზროვნებს და არა — არჩევნებიდან არჩევნებამდე, ცდილობს, წინ აღუდგას ანგლოსაქსურ იმპერიალიზმს. ამის ნათელი მაგალითია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სადაც შექმნეს საკმაოდ სპეციფიკური სტრუქტურა — „დადამიანის ინსტიტუტი“ („რენდ კორპორეიშენის“ ჩინური ანალოგი) გარე აგრესიისგან თავის დასაცავი მოქმედების ალგორითმების დასამუშავებლად. პირველი და საყოველთაოდ აღიარებული შედეგი სახეზეა — საყოველთაო აზიური კრიზისის ფონზე უმძლავრესი ეკონომიკური აღმავლობა!

გაითვალისწინებს თუ არა უკრაინის ახალი პრეზიდენტი ყოველივე ამას, თუ ქვეყანაში პირველ კაცად კვლავ დაგდება „მემოგ ზავინი კაზაკი“, ამას იანვარში ჩატარებული არჩევნების შედეგი გვიჩვენებს.

კვადისლაპ ბურაპინი სეგონია.რუ

დიმიტრი ფიშენკო: საპრეზიდენტო არჩევნებში ინსუპროვირი ბაიბარჯვებს

უკრაინელი პოლიტოლოგი დიმიტრი ფიშენკო ქვეყნის პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატებზე პარტია „რეგიონების“ ლიდერს — ვიქტორ იანუკოვიჩსა და მოქმედ პრემიერს — იულია ტიმოშენკოს მიიჩნევს. მისივე აზრით, მათ შორის ბრძოლა, შესაძლოა, სასამართლოსა და ქუჩაში გადინაცვლოს და რამდენიმე თვეს გასტანოს.

ასეთ პროგნოზს პოლიტოლოგი იმ შემთხვევისთვის აკეთებს, თუ არჩევნების II ტურში გასული ამ კანდიდატების ხმებს შორის რაოდენობრივი სხვაობა მცირე იქნება. „არჩევნების მეორე ტურის გამართვა ფაქტობრივად გარდაუვალია, თუმცა მოვლენების შემდგომი განვითარება იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად დიდი იქნება სხვაობა ამ ორი კანდიდატის ხმებს შორის. თუ სხვა-

ობა საკმარისად მნიშვნელოვანი არ იქნება, იანუკოვიჩსა და ტიმოშენკოს შორის დაპირისპირებამ, შესაძლოა, სასამართლოსა და ქუჩაში გადინაცვლოს და რამდენიმე თვეს გასტანოს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი საგრძნობლად გაუსწრებს მეორეს, სასამართლო ინსტიტუტებში ამ ფაქტზე კამათს აზრი აღარ ექნება. ამ ყველაფრიდან გამომ-


დინარე, ახლა ბრძოლა სწორედ იმისთვის მიდის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე ერთ-ერთმა კანდიდატმა მეორეს დიდი უპირატესობით გაუსწროს“, — განაცხადა ფიშენკომ, რომლის აზრით, „უკვე ნათელია, რომ უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას იანუკოვიჩი მოიპოვებს, ტიმოშენკო კი არჩევნების შედეგების არალიარებით მას „მხიარულ ცხოვრებას“ მოუშვებს“.

„ვიფიქრობ, ტიმოშენკო იმოქმედებს როგორც სასამართლოში ჩივილის, ასევე ქუჩებში ხალხის გაყვანის მიმართული. თუმცა მაინცა დაკარგავს ეფექტი, რომელიც 2004

წელს ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ტიმოშენკოს პარლამენტში თავის მხარდამჭერების მობოლიზება მოუწევს, რათა რაღაც იანუკოვიჩის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყოს“, — დასძინა მან. შეგახსენებთ, რომ უკრაინის საპრეზიდენტი არჩევნები მიმდინარე წლის 17 იანვარს გაიმართება. საარჩევნო მართონში ძირითადი პრეტენდენტები მოქმედი პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო, პრემიერი იულია ტიმოშენკო და ოპოზიციური პარტია „რეგიონების“ ლიდერი ვიქტორ იანუკოვიჩი არიან. აღსანიშნავია, რომ უკრაინელი ესკაპერტების მოსაზრებით, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ზიარდაუვალია და მასში სავარაუდოდ მეტოქეები იქნებიან ტიმოშენკო და ვიქტორ იანუკოვიჩი იქნებიან. წინასწარი გათვლით, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები 120 მლნ დოლარს დაუჯდება.

ათი წლის უკვდავ კიბო პირველ აღიარება იქნება მსოფლიოში

ბოლო დროს გავრცელდა აზრი იმის თაობაზე, რომ საქართველოში რთული ეკოლოგიური და ეკონომიური პირობების გამო, ონკოლოგიური პაციენტთა რაოდენობამ იმატა. თუმცა, გარკვეულ მიზეზთა გამო, ამის სრული სტატისტიკა არ არსებობს. ასევე, გარკვეული კატეგორიის ონკოლოგიური პაციენტების სახელმწიფომ უფასო მომსახურების პაკეტი შესთავაზა. ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ვესაუბრებით საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის პრეზიდენტს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რაიზო ბაბუას.



— ბატონო რეზო, მომხატა თუ არა ონკოლოგიური პაციენტთა რაოდენობამ საქართველოში?

— ონკოლოგიური დაავადებების მატების ტენდენცია მთელ მსოფლიოში აღინიშნება, არც საქართველოა გამონაკლისი. გარდა ამისა, ონკოლოგიური დაავადებები სოციალურ დაავადებებად შეიძლება განვიხილოთ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ კატეგორიას არ განეკუთვნება. სოციალურ დაავადებად მიაჩნდება ისეთი დაავადებები, რომლებიც ინფექციის გზით ვრცელდება მოსახლეობაში, რის გამოც ეპიდემია ან პანდემია ვითარდება. კიბო მხოლოდ და მხოლოდ იმპრო ითვლება სოციალურ დაავადებად, რომ ჯერჯერობით მისი შემცირების არანაირი ტენდენცია არ აღინიშნება. პროგნოზით გათვლილია, რომ 2020 წლისათვის კიბო პირველ ადგილზე იქნება მსოფლიოში როგორც სიმბირით, ისე სიცილიანობით (ამჟამად გულ-სისხლძარღვთა დაავადებებია პირველი). გამოდინარე აქედან, ონკოლოგიის აქტუალობა საეჭვო არაა.

რაც შეეხება კითხვას, მოიმატა თუ არა კიბოს რაოდენობამ საქართველოში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ

რამე განსაკუთრებული მარვენებელი ამ მხრივ არ არსებობს. ყოველწლიურად ჩვენში 7 ათასი ახალი ონკოლოგიური შემთხვევა ფიქსირდება და ძალიან ცუდია ის გარემოება, რომ ამ ახალ შემთხვევათა უმეტესობა III-IV სტადიაზე მოდის. ასეთია პაციენტთა 60 პროცენტზე მეტი. განვითარებულ ქვეყნებში კი კიბოს პირველი და მეორე სტადიების შემთხვევები სჭარბობს და მკურნალობაც შესაბამისად ეფექტურია. აქედან ჩანს, რომ კიბოს მკურნალობის ეფექტურობა დამოკიდებულია მის ადრეულ დიაგნოსტიკაზე. მაშინ გადარჩენის შანსი 80-90 პროცენტია!

— რა მეთოდები გაქვთ დღეს კიბოს მკურნალობისათვის, არის სიახლეები ამ მხრივ?

— ჯერჯერობით ერთ-ერთ ძირითად მეთოდთა კვლავ რჩება რადიკალური, ანუ ქირურგიული მეთოდი, რომელიც არა მარტო სიმსივნის ამოკვეთას ითვალისწინებს, არამედ ქსოვილის ლიმფური კვანძებისა, სადაც შესაძლებელია სიმსივნის მეტასტაზების განვითარება. მეორე მეთოდი კი მედიკამენტური მკურნალობა, ანუ ქიმიოთერაპია და მესამე — რადიოთერაპია, იგივე სხივური თერაპია. მეოთხე მეთოდად

მოიზრება ამ ყველა მეთოდის კომბინაცია.

დღეისათვის ონკოლოგიაში, ასევე, გამოიყენება **ჰორმონოთერაპია**, რომელიც ძირითადად ორგანიზმის სტიმულირებისაკენ.

— დღეს რა სახის სიმსივნეებია განსხვავებული?

— არსებობს ორგანო სიმსივნე: პირველი — ვიზუალური ლოკალიზაციის სიმსივნე, რომელსაც თვალთ ვხვდებით და ხელისაქვე ვხვებით და მეორე — ვირსუსული ლოკალიზაციის სიმსივნე, რომელიც შინაგანი ორგანოების მხრივ აღინიშნება. ის საკმაოდ რთულია და დიაგნოზის დასასმელად ხშირად უმაღლესი ტექნოლოგიების გამოყენება საჭირო, როგორცაა მკურნალები ტომოგრაფია, ექსოკოპია, მაგნიტური

რეზონანსი, მორფოლოგიური კვლევები და სხვ.

სამარცხვინოდ მიმაჩნია, როდესაც ვიზუალური კატეგორიის სიმსივნე III-IV სტადიაზე მდებარეობს. ეს რომ არ მოხდეს, აუცილებელია მოსახლეობის ყოფითი კულტურის დონის ამაღლება, მათთან საუბრების ჩატარება ონკოლოგიური სიფიზილის კუთხით, რათა დროულად გამოვლინდეს დაავადება. ეს განსაკუთრებით ეხება პოლიკლინიკის ექიმებს, რადგანაც მათ სიფიზილზე დიდად არის დამოკიდებული დაავადების დროული გამოვლენა. მით უმეტეს, რომ პაციენტსაც და სახელმწიფოსაც ურჩევნია კიბოს პრევენცია და არა გართულებული მდგომარეობის მკურნალობა.

— პრევენციაში, ალბათ, სკრინინგს გულისხმობთ, რომელიც ამჟამად ჩვენში დაინერგა...

— არსებობს პრევენციის

ორი გზა — პირველადი და მეორედი. პირველადი იგულისხმება მოსახლეობის მართ ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც ცხოვრების ჯანსაღ წესს დაამკვიდრებს. მეორედი პრევენცია გულისხმობს დისპანსერიაზიას იმ პაციენტებისა, რომელთაც აქვთ ე. წ. კიბოს წინარე დაავადებები. უნდა გვახსოვდეს, რომ **„მონმენდილ ცაზე“ კიბო არ ვითარდება**, მის განვითარებას ბევრი წინაპირობა თუ გარემოება უწყობს ხელს. სწორედ ასეთი პაციენტები უნდა აიყვანონ ალრცხვანზე და მუდმივ კონტროლზე ჰყავდეთ. თუ ისინი 40 წელს არიან გადაცილებულნი, წელიწადში ერთხელ უნდა ჩაუტარდეთ კვლევები. ამ მხრივ საქართველოში კარგი ნამონყებებია, რომელსაც სათავეში ქვეყნის პირველი ლედი უდგას. შეიქმნა არაერთი ცენტრი სკრინინგ პროგრამებით, სადაც მოსახლეობას უფასოდ შეუძლია საშვილოსნოს ყელისა და ტუპუს კიბოს კვლევის ჩატარება. კვლავ მინდა გავიმეორებ, I-II სტადიაში, ამ ორგანოთა დაავადების შემთხვევაში, მათ კიბოსაგან განკურნება გარანტირებულია აქვთ.

— ონკოპაციენტებზე რა შედეგები აქვს დანახვები სახელმწიფოს?

— ონკოლოგიაში დღეს მთელი ქვეყნის მასშტაბით მუშაობს სამი პროგრამა. პირველი არის ბავშვთა პროგრამა — 18 წლამდე ბავშვები და დიაგნოსტიკიდან დანახვები ოპერაციისა და პოსტოპერაციული მკურნალობის ჩათვლით მკურნალობენ უფასოდ. მეორე არის უმწვეთა (სილარობის ზღვარს ქვემოთ) პროგრამა; ყველამ ვიცით, რომ უმწვეთა კრიტიკულ შემთხვევაში გაიზარდა და, შესაბამისად, ამ სტატუსით უკვე გაცილებით მეტი

აღამიანი მოგვმართავს. ისინი ნებისმიერ დაავადებას ჩვენთან მკურნალობენ უფასოდ. მესამე პროგრამაა 60 წელს ზევით დაავადებულთათვის, ისინი თანაგადანდას ექვემდებარება ანუ 70 პროცენტს იხდის სახელმწიფო, ხოლო 30 პროცენტს პაციენტი.

2010 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 18-დან 60 წლამდე პაციენტების შეღავათები, რომ მათაც შეძლონ სრულფასოვანი მკურნალობა. რაც შეეხება კლინიკას, ამჟამად გვაქვს ყველა ის თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობა, რომელიც სრულფასოვან დიაგნოსტიკასა და მკურნალობას სჭირდება, როგორცაა თანამედროვე ულტრაბგეითი გამოკვლევა, კომპიუტერული კვლევა, ენდოსკოპია, იმუნოჰისტოქიმია, იმუნომარკერებით კვლევები და სხვ.

— როგორ თვლით, კიბო საშიში დაავადებაა?

— კიბო არც თუ ისე საშიში დაავადებაა, ანუ „ისე არ ნვიმს, როგორც ქუსხ“, დღეს საქართველოში ალრცხვანზე 33000 ონკოპაციენტი იმყოფება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ, თუ წელიწადში 7 ათასი პაციენტი ვლინდება, ისინი არ იღუპებიან, არამედ მკურნალობენ, ბევრი გამოჯანმრთელდა კიდევ, მაგრამ ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ მაინც არიან.

ონკოცენტრში სიახლეა ის, რომ წელს გაიხსნა **პალეატიური მზრუნველობის განყოფილება**. აქ არიან ისეთი ურთულესი პაციენტები, რომელთა მიმართ ონკოლოგიური დაავადების სპეციალური მეთოდების გამოყენება უკვე შეუძლებელია, ანუ მეთოდები კლინიკურ მდგომარეობაში იმყოფებიან.

უნივერსალური წყალი „ისიდა“

მათთვის, ვისთვისაც კიბოსა და ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (Y, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn) დელიური ნორმის ოდენობით:

Y იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩივივისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულინური აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და მათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების ნარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედეგებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გამჯობსებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინარქას, ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თითია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდის ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქემა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება იწვევს ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს, და, შესაბამისად, ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩივივი, კბილების კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ. „ისიდა“ მიკროელემენტების პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ „ისიდაში“ გადახდილი ყოველი თეთრი დაგიზოგავთ ამ დაავადების სამკურნალოდ გადასახდელ მრავალ ათას ლარს. „ისიდა“ გაბინულია ოჯახური მომხარებისთვის, ისმება 20-ლიტრიან ბალონებში.

მსუკავლევა დაკავონ თბილისში: 899-16-30-21, 890-26-15-15 (ოფისი); რუსთაში: 890-11-50-99; 895-91-24-14

ყოველ მხსეთა ახაკიკალს კანის კიბო ემუქრება

ამერიკაში გავრცელდა კანის კიბოს ღია ეპიდემია, — აცხადებენ ქვეყნის დერმატოლოგთა ასოციაციამ.

მეიოს კლინიკის მეცნიერთა კვლევებით, ეს გამოწვეულია მზის სხივებისაგან კანის ხშირი დანვით. კანის დანვას კი ხშირად სოლარიუმები და ფიტნეს კლუბები უწყობენ ხელს, სადაც ხელოვნურად ხდება გარუჯვა. მეცნიერთა აზრით, ხელოვნური გარუჯვა იმუნური სისტემას აქვეითებს და ხელს უწყობს კანზე მელანომას განვითარებას.

ამდენად, ექიმები მოსახლეობას ურჩევენ ზაფხულში 10-დან 16 საათამდე თავი შეიკავონ ქუჩაში გამოსვლისაგან. აუცილებლობის შემთხვევაში კი იხმარონ მზის სხივებისაგან დამცავი მაღამოები, რომელსაც წაისვამენ სხეულზე 2 საათში ერთხელ.

სიბაკატებში აღმოჩენილია მიკრობები

ამერიკელმა და ფრანგმა მეცნიერებმა სიბაკატებში აღმოაჩინეს მიკრობები, რომლებიც მრავალ დაავადებას იწვევს.

ოთხი კატეგორიის სიბაკატებში 15-მდე მიკრობი დადგინდა, რომელთაც შეუძლია მძიმე დაავადებების გამოწვევა, მათ შორისაა ვირუსული ინფექცია, სისხლძარღვთა დაავადებები, სოკო და მრავალი სხვა. ამდენად, ეს სფერო შესწავლას მოითხოვს, რათა უნებელი სიამოვნებამ უფრო მძიმე შედეგი არ გამოიღოს.

ფსიქიატრიული მკურნალობა უსაქლავალია ქიკურბიული მეთოდით

ამერიკელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ახალი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ფსიქიატრიული ავადმყოფების განკურნება, ტვინის გარკვეულ ნაწილზე ქირურგიული ოპერაციის ჩარევით. აღმოჩენა მნიშვნელოვანია, თუმცა კვლევები ჯერჯერობით ექსპერიმენტულ დონეზე რჩება.

გზა კობალასკენ აღმათის ხეობა

ჩვენმა პროფესიამ, რომელსაც, აღარც კი ვიცი, რა დაფარევა — არქეოლოგი, ძეგლის მცველი თუ ტელელოკუმენტალისტი, მონადირეა ვთქვით აზარტული გაგვხდა. ესა თუ ის ხეობა, რომელშიც ფეხს შევდგამთ, გვსურს, ბოლომდე მოვხიზროთ. განსხვავება ისაა, რომ მონადირის თვალი და გემი მსხვერპლს დაეძებს, ჩვენ კი პირიქით — იმას, რისი გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება, — თუნდაც ვიდეო ან ფოტოგამოსახულებით. და მაინც, ყველაფრის ნახვა და მიგნება შეუძლებელია ან ნახვა და შენი მიშველება აღარ სჭირდება, — ვილაციის დალოცვილ მარჯვენას შენამდე უზრუნია და უფრო მეტიც, შენგან განსხვავებით, მისთვის რეალური სიცოცხლე დაუბრუნებია... აღუდგენია! ასეთ დროს სამუშაო ნაკლებ დროს მოითხოვს და ახლა სხვაგან მიიქცა — იქ, სადაც უფრო საჭირო ხარ.



პატარა თონეთის „წილა მარიაში“



დიდი თონეთის სამხრეთით, ალგეთის ხეობისკენ ჩამავალი გზის მარჯვენა მხარეს, ნაცნობ ძეგლს ვხედავთ, მაგრამ არ ვჩერდებით. ეს „სიონის“ ნანგრევებია თავისი სამი ასომთავრული წარწერით (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №31). კიდევ უფრო სამხრეთით, ოლონდ გზიდან ხელმარცხნივ, თუნუქით გადახურული ეკლესია დგას. იგი ახალი აღდგენილია, მაგრამ რამდენადმე ზერელედ: კედლებს სიმაღლე აკლია და რკინა-ბეტონით შექმნილი კამარაც ზუსტად ვერ არის გამოყვანილი. ტაძარი, რომელსაც დიდ თონეთში თელეთის წმ. გიორგის ნიშის სახელით იცნობენ, ნაგებია რიყის ლოდებითა და აქა-იქ ალგეთის ქვის გათლილი კვადრებით. იგი მხოლოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვიწრო სარკმლებით ნათდება. ეკლესიას სამკაულები არ აქვს და ერთადერთი, რაც ამშვენებს, სამხრეთის კარის აღმოსავლეთ ნიშნულად გამოყენებული ბრუტალური ჯვარია. იგი ადრე აღმოსავლეთის ან დასავლეთის ფორტონში უნდა ყოფილიყო ჩასმული.



პატარა თონეთის „კვირაცხროველი“




ეს ეკლესია პირდაპირ გაცქერის ხეგვალმა მდებარე პატარა თონეთს, რომელიც ზღვის დონიდან რამდენადმე დაბლაა, ვიდრე დიდი თონეთი. მისი ძველი სახელწოდება დავალობაა. სოფლის ცენტრში, ოდნავ შემადგენულ ადგილზე, აღმართულია ღვთისმშობლის სახელზე აგებული მონასტრის ტაძარი (12,5X6,8 მ) „წმ. მარიაში“. ეს დარბაზუ-

სტილისტურად XII-XIII საუკუნეებს განეკუთვნება. ასეთი სარკმელი უთუოდ თლილი დაკაბა, გრდემლის მსგავსი ქვა და მეტადრე ის სამკაულიან-ნარნერიანი ფრაგმენტები, რომლებიც ამ ეკლესიის კუთვნილება არ არის. სამკაულიანი 5 ქვა ამკარად ერთი სარკმლის საპირეა და

ასომთავრული ნარნერი და მშენებელი ორი თეთრი ქვა (სავარაუდოდ, კანკელის ფრაგმენტები). ამ ამბავმა ძალიან დაგვიინტერესა, რაზეც მეორე დღეს მივიღეთ პასუხი. პატარა თონეთის მკვიდრმა, პროფესიით მშენებელმა კოტე ადამაშვილმა ასეთი ამბავი გვამცნო:

— ეს ჩუქურთმისი და ნარნერიანი ქვები დღეს არსებულ ეკლესიის „წმიდა მარიაში“ კამარის აღდგენისას აღმოვაჩინეთ თაღებში. ისინი დამხმარე მასალად გამოუყენებიათ ჩვენს წინამორბედ რესტავრატორებს. მოხუცი თანასოფლელებისაგან გაგონილი გვქონდა, რომ ამჟამინდელი ეკლესიიდან ათიოდ მეტრში ყოფილა ძალიან ლამაზი ეკლესიის ნაშთი, მაგრამ



კობალას „სამება“



იგი ტერტერებს დაუშლიათ და მასალა მეორე ეკლესიის აღსადგენად გამოუყენებიათ. აქვე, ეკლესიის ეზოში, საყდრის აღმოსავლეთ კედელთან, ერთი საინტერესო საფლავის ქვაც არის. მასზე სამი ხელის მტევანი, ერთი ჯვარი და ერთი გაურკვეველი საგანია გამოკვეთილი. რას უნდა ნიშნავდეს ეს კომპოზიცია, ძნელი დასადგენია.

პატარა თონეთიდან ჩრდილო-დასავლეთით, 2 კილომეტრში, კიდევ უფრო ძველი, სავარაუდოდ, VIII-IX საუკუნეების ტაძრის ნანგრევებია. ადგილობრივები მას „კვირაცხროველს“ უწოდებენ. გრძელ ნაეკლესიარს სრულიად მორღვეული აქვს დასავლეთის მხარე, რომელსაც სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების ნაპირებიც გადაუყოლებია. ამჟამად სახეზე ერთადერთი — სამხრეთის კარი, რომელიც დიდი ბალავრის ქვითაა გადახურული. ეს კარი მიგნიდანაც არქიტრავული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოგვიანებით რესტავრატორს თაღონად გადაუკეთებია. ტაძარი ნაგებია სხვადასხვა ზომის კლდის ქვით. ნეოპის თარაზულობაზე საუბარიც კი ზედმეტია; უფრო მეტიც — აღმოსავლეთ ფასადში ერთი უშველებელი ქვა დიაგონალურადაა ჩადგმული. საკურთხევის აფსიდში, რომელსაც ნალისებრთან მიხლოებული ფორმა აქვს, ერთი პატარა ნიშია. ტაძრის არსებული კედლები კამარის ქუსლის დონეზეა შემორჩენილი.

პატარა თონეთიდან სამხრეთით, დაახლოებით 7 კილომეტრში, მდინარე ალგეთის მეორე მხარეს, კობალას ხეობაში არსებულ კიდევ ერთი მეტად საინტერესო ძეგლის სანახავად გზის სირთულეს არ შევებუეთ და, რომ აღარ უფლის ნება, სუსხიან ამინდში ტყეში მოგვინედა ღამის გათენება და ვინძლო — გაყინვა.

ხევი ორი კილომეტრიც არ გვექნებოდა გავლილი, რომ ჩვენი ნაქები „ტოიოტა“-პიკაბი ღრმა ტალახში ჩაჯდა, საშხიდანი სატვირთო მანქანის მიერ გაჭრილ ნაკვალევს ბორბლები ვერ უწია და მუცელი დადო. მდგომარეობიდან ერთმა წინდახედულმა გამოგვიყვანა — ალგეთის გადმოლაზვამდე იქვე დაბანაკებული ახალი გზის მშენებლების ტელეფონის ნომრები მქონდა ზედად ჩაწერილი და საშველად მათ ვუხმეთ. ბიჭები არ დაგვზარდნენ და ერთ საათში ტრაქტორი მოგვაშველეს. რაკი წინ უარესი გზა გვედო, მანქანა უკან გავათრეთ და ეკლესიისაკენ ფეხით გავწიეთ. ბილიკზე ერთობ მსუბუქად და ბედნიერად მივიდვიარ, რამეთუ ვიცი, უფალმა მიკარნახა მოსალოდნელი ხიფათი: „არა გეშინოდის შიმისაგან ღამისა და ისრისაგან, რომელ ფრინავს დღისი, ღუანლისაგან, რომელი ვალს ბნელსა შინა, შემთხვევისაგან და ეშმაკისა შუვა დღისა“.

გადაიარა შუადღემ და ავერ ისიც — კობალას ტაძარი!.. ვახუშტი ბატონიშვილის რუკას თუ დავხედავთ, კობალას ხეობაში მას ამავსე სახელწოდების სოფელი აქვს მონიშნული. სიტყვა კობალა, სულხან-საბას განმარტებით, გამოქვდილ სარტყელს ნიშნავს. რის გამო დავრქვა ასეთი სახელწოდება ძველ სოფელს, რთული დასადგენია.

იმ სოფლიდან დღეს არათუ ნანგრევები, მცირე კვალიც ვერ აღმოვაჩინეთ. ეკლესია მცირე ხვეის მარცხენა ნაპირზეა, როგორც ჩვენმა მეგზურმა, პატარა თონეთის ხანდაზმულმა მკვიდრმა ვანო დავითაშვილმა გვითხრა, იგი სამების სახელწოდებითაა ცნობილი. მიუხედავად ამისა, მისივე თქმით, თონეთელები აქ თურმე გიორგობის დღესასწაულის აღსანიშნავად მოდიან. ამის კვალს ეკლესიის ერთ კუთხეში ვხედავთ, სადაც ქვაბების გროვაა. კობალას სამება ერთნაგვიანი დარბაზული საყდარია, რომელიც მოყვითალო, დიდრონი, თლილი ლოდებითაა აგებული. მას სამი მხრიდან (სამხრეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით) მინაშენები აქვს. ამათგან სამხრეთისა და, მგონი, ჩრდილოეთისაც ეკლესიის თანადროულია და შეიძლება XI საუკუნით დათარიღდეს. სამხრეთის მინაშენი, რომელიც აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით სრულდება, ეკვდრია, დასავლეთისა და ჩრდილოეთისა — დამხმარე ნაგებობები. მთავარი დარბაზი მაღალია და ოთხი ვიწრო სარკმლით ნათდებოდა (თითო-თითო აღმოსავლეთ და დასავლეთ კედელშია გაჭრილი, ორი — სამხრეთ კედელში). ერთადერთი შესასვლელი სამხრეთიდან, ეკვდრის მხრიდანაა, ხოლო ეკვდრზე, თავის მხრივ, მოგვიანებით მცირე, პრიმიტიულად ნაშენი პორტიკო მიუდგამთ.

მთავარი დარბაზის შესასვლელი გარედან არქიტრავულია, შიგნიდან კი — შეუმჩნევლად შეისრული. ამ ფორმას ორი დიდი ნახევარწრიული ლოდი ქმნის. აღსანიშნავია, რომ სარკმლებიც ამის მსგავსადაა გამოყვანილი შიგნიდან. გადახურვა ტაძრის არც ერთ ნაგებობას აღარ აქვს, შემორჩენილია მხოლოდ მთავარი დარბაზის კონქი და მისი მიდევნებით კამარის მცირე მონაკვეთი. ტრიუმფალურ თაღს ზუსტი ნახევარწრიული შემონერილობა არ აქვს, ოდნავ შებრტყელებულია, მაგრამ ჯერჯერობით „მხნედ“ გამოიყურება. შიდა სივრცე პილასტრებით არ არის დაყოფილი, რის გამოც კამარის დამჭერი თაღები, კაპიტულების ნაცვლად, კრონტინების ეყრდნობოდა. მთელ დარბაზში მთავარი აქცენტი სწორედ ამ კრონტინებზე და ტრაპეზის ქვაზეა გადატანილი. კრონტინები მორთულია გეომეტრიული ფიგურებითა და წნულებით. სამხრეთ კედელში ჩადგმულ კრონტინზე გამოსახულია არაბო-პორციული, საკმაოდ ღრმარული ფორმის კვეთის ცხრაქიმიანი ვარსკვლავი, რომლის მსგავსი აქამდე არსად შეგვხვედრია. ტრაპეზის ოქროსფერ ქვაზე, რომელიც ამჟამად თავდაყირა დგას, ვარდულებში ჩასმული ჯვარია გამოხატული. სამი ტოლმკლავა ჯვარი — ერთი მოზრდილი და ორი მცირე — გამოსახულია ფილაზე, რომელიც საკურთხევის აფსიდის სარკმლის თავზეა ჩადგმული. ეს სამების სიმბოლოა. კობალას ეკლესია ამ მიდამოებში ყველაზე საინტერესო ისტორიული ძეგლია. მისი არნახვა და გადაუღებლობა ჩვენი დიდი მეცდომე იქნებოდა. უკან კამაყოფილები ვბრუნდებით.

გელა კოქიაშვილი
ავტორის ფოტოები

აფხაზების აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ (1877 წ. აპრილი-აგვისტო)

დასასრული. დასაწყისი №42

6 მაისს განთავსდა ორი თურქული გემი ისევ მიადგა ოჩამჩირეს (პირველად ეს 1 მაისს მოხდა — შემდეგ), მსხვილი საფანჯრით დაცხრილი ნაპირი და 500-მდე კაცი გადმოსვა, ნაწილობრივ — ხანდაზმული აფხაზები, გადასახლებულები, ნაწილობრივ — ბიჭვინთის ოლქის ამბოხებული აფხაზები. მათ მიერ ნაპირთან გამოძახებულმა მახლობელი სოფლების მცხოვრებლებმა ვერ გაბედა, პირდაპირი თანხმობა მიეცათ ჩვენგან განდგომაზე, რის გამოც გაიმართა ხანგრძლივი მოლაპარაკება, რომლის შედეგად გადაწყდა, მეორე დღით საერთო კრება მოეწვიათ...

ქუთაისის გუბერნიიდან ჩვენი ჯარების ენგურთან მოახლოების, აგრეთვე, სამურზაყანოელებთან ერთად მირონოვის ოჩამჩირეში დაბრუნების (სოფელი ნაადან) თაობაზე ხალხში გავრცელებული ხმების შედეგად გადმოცხადდა აფხაზებმა ფერფლად აქციეს ეს ადგილი, მათ მომდინარე თურქულ გემებზე ავიდნენ და სოფლისკენ გაცურეს. მეორე დღეს (1877 წლის 7 მაისი), დღის 8 საათზე პოლკოვნიკი მირონოვი ოჩამჩირეში ჩამოვიდა და იქ კოდორის მონაკვეთის ფრიად აღელვებული მოსახლეობა ერთად შეკრებილი იხილა... აფხაზების მიერ ამ შეკრების მიზეზებზე მისთვის მიცემული განმარტებები ძალზე მიუღებელი იყვნენ, თანაც პატივსაცემ აფხაზთა დეპუტაციამ სთხოვა, დაეინიციონა ყველაფერი, რაც არადა, როგორც რამდენიმე ათასკეთილსაიმედო პირის ნაშთი ყვება. მიუხედავად ამისა, ორი დღის შემდეგ კოდორელებმა კვლავ არჩიდეს თავი მილიციის მიმართული მირონოვის ხელმძღვრე გამოძახების შემდეგ...

ადღერში მოწინააღმდეგის გადმოსხამა (1877 წლის 10 მაისი — შემდეგ), საქმის საერთო მიმდინარეობასთან დაკავშირებით, ყუბანის ოლქის ჯარების გაძლიერება გამოიწვია... ბოლოს და ბოლოს, 28 ივლისისათვის, ანუ შავი ზღვის და ყუბანის ოლქების ჯარებისგან ჩამოყალიბებული სოჭის რაზმის სოჭიდან აფხაზებისკენ ნაშთის დღისათვის, კაზაკებისა და პლასტუნებისგან შემდგარი მონადირე რაზმების მოქმედებების შედეგად შავი ზღვის ოლქის სოხუმის მონაკვეთის მიმდებარე ნაწილი მთლიანად გაიმყინდა აფხაზური ხროვებისაგან... მდინარე ლაბიტგას გადაღმა გადაყვანილი სოხუმისა და ქუთაისის რაზმების უახლოესი მიზანი სამურზაყანოს და ზღვის მხრიდან სამეგრელოს დაცვა იყო...

2 ივნისს დაახლოებით დღის 7 საათზე ოჩამჩირესთან მყოფმა ჩვენმა ცხენოსანმა პატრულმა ილორის კოლონის უფროსს შეატყობინა, რომ მა-

თი მხრიდან ქვეით და ცხენოსან აფხაზთა რაზმები გამოჩნდნენ, რომელთა პარალელურად წელი სვლით მოძრაობდა ორი სამხედრო ხომალდი (თურქეთის — შემდეგ)... 8 საათსა და 30 წუთზე ილორთან მოახლოებული თურქეთის გემების სამი სასიგნალო ზათის შემდეგ მოწინააღმდეგის მონინავე რაზმებმა მინდვრები გადაიბრინეს და ლაბიტგას მიანყდნენ, მაგრამ ისინი ჩვენი ჯაჭვის ცეცხლში მოიგერიდა და ითულებული გახდა, სასწრაფოდ ტყისათვის შეეფარებინათ თავი... მალე აფხაზებმა განახლეს შეტევა, რომელსაც ამჯერად სამხედრო გემების მძლავრი ცეცხლი უმაგრებდა ზურგს... დღის 10 საათზე აფხაზთა მრავალრიცხოვანი ბრძოლები რამდენჯერმე შეეცადნენ ლაბიტგას გადმოლაშვას და ჩვენზე თავდასხმას ხან ერთ და ხან მეორე პუნქტში, მაგრამ ყოველ ჯერზე მათ ჩვენი მწკრივების ცეცხლი იგერიებდა... განსაკუთრებული სიჯიუტით გამოიჩინა მწვენი დროშის ირგვლივ შეკრებილი საკმაოდ მნიშვნელოვანი მასის შეტევები... როცა დამარცხებულნი იყვნენ, აფხაზები ტყეებში ჩასაფრდნენ და ცეცხლი იქიდან გაგვიხსნეს...


ამავე დროს გენერალმა ალხაზოვმა ისარგებლა ბრძოლის სასურველი შედეგით და 2 ივნისს მათ შემდეგი მოწოდებით მიმართა: „აფხაზების კვიდრო, ვიდრე ხელს მივყოფდე თქვენს დასჯას, მინდა კეთილგონიერებისკენ მოგიწოდოთ, თქვენი ძალები შეტევა-სუსტია საიმისოდ, რომ სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწინოთ, თურქების იმედი, ცხადია, არ უნდა გქონდეთ, ისინი ბევრს შეგპირდნენ, მაგრამ თითქმის არაფერში გამოგანდნენ. ჰოდა, დაგვეორჩილოდით, ჩაგვაბარეთ იარაღი და მშვიდად დაელოდეთ ხელმწიფე იმპერატორის მოწყალებასა და პატივებს. თქვენი უარი სრულ განადგურებას გიქადით, რადგან მე ვუბრძანებ ჯარებს, დაუნდობლად მისცენ ცეცხლს თელი თქვენი ქონება და ერთიანად გააპარტახონ. კიდევ ერთხელ გიმეორებთ: გონს

მოეგეთ და დაგვეორჩილოდით“... 3 ივნისს სოხუმისა და ქუთაისის რაზმებისგან ერთი რაზმი შეიქმნა ენგურის რაზმის სახელწოდებით, გენერალი ალხაზოვის მეთაურობით, რომელიც როინის მხარის ჯარების სარდალს ექვემდებარებოდა... ბოლო რეკოგნოსირებით მიღებულმა და მცხოვრებლებსგან მოპოვებულმა ცნობებმა აჩვენა, რომ ჩვენი მოლაშქრეები პარტია კოდორში გადავიდა, ყამდულატი მარლანი (მუჰაჯირი — შემდეგ) დრანდის მონასტერთან იდგა, სალახ მარლანი პარტიასთან ერთად — აძიუჭაში, თავადი ხერბის მარშანი კი — მოქუში, ხოლო თურქების რეგულარული ჯარები სოხუმში რჩებოდნენ... ისარგებლა რა ხერბის მარშანის პარტიის მეთაურობით წინ წამოწვიდა, გენერალმა ალხაზოვმა გადაწყვიტა, მისთვის ცალკე დაერტყა. ამ მიზნით 9 ივნისს ფოქევის ბანაკიდან გამოვიდნენ ლაბიტგას კაზაკთა პოლკის მე-2 და მე-6 ასეულები და სამურზაყანოს ცხენოსანთა ირეგულარული პოლკის 6 ასეული პოლკოვნიკი შერვაშიძის მეთაურობით. რაზმმა ბესლაზთან დალიძე გადარბა და ოჩამჩირეს მიუახლოვდა... აფხაზები მიიფანტნენ, მაგრამ დევნისას ხერბის ემუხვარის ასეული დაეწია და ტყვედ აიყვანა, მისი სამი მომხრე კი კასის შეტევები... როცა დამარცხებულნი იყვნენ, აფხაზები ტყეებში ჩასაფრდნენ და ცეცხლი იქიდან გაგვიხსნეს... 13 ივნისს (თურქების შეტევამ — შემდეგ) აჩვენა, რომ ენგურის რაზმის თავდაცვით მოქმედებას ჩვენთვის სასურველი შედეგი არ მოჰქონდა. ის არა მარტო აფხაზებზე, არამედ სამურზაყანოელებზეც ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა... ასეთ არახელსაყრელ მდგომარეობაში დარჩენა შეუძლებელი იყო, ამიტომ გენერალმა ალხაზოვმა, ენგურის რაზმის მცირერიცხოვნების, სოხუმში თურქებთან დახმარების ჩასვლის და მათ მიერ აფხაზური მილიციის წარმატებით ჩამოყალიბების მიუხედავად, შეტევაზე გადასვლა გადაწყვიტა... 21 ივნისს, როდესაც დალიძეს მიმდებარე თემების ლაბიტგაში დაერწმუნეთ, ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე ლაბიტგის კაზაკთა მე-2 პოლკის 2 ასეული გავაგზავნეთ, რომლებსაც ურჩი აულებს გადასვა ვუბრძანეთ, ხოლო ღამით ილორის კოლონის სა-

ნადირო რაზმმა მონინალმდეგეთა მწკრივი ააფორიაქა. 22-ში სამურზაყანოელები, რომელთაც ქუთაისის თავადთა დივიზიონი ეხმარებოდა, ლაბიტგას გადასვლა აულებს გადასვა განადგობდნენ... 10 ივლისს... 8 საათისთვის მიუახლოვდნენ სიმაღლეებს, რომლებიც დასავლეთის მხრიდან ერტყმოდ გარს სოფელ მერკულის მტერმა... 48 გვამი, დიდალი იარაღი შეგვატოვა და ოჩამჩირისკენ გაიქცა... 18 ივლისს თავად ნულუქიდის კოლონამ აკვარა-ეიხვამი კავკასიის მე-4 სახაზო ბატალიონის ასეული დატოვა დაჯგერდისკენ დაიძრა. აფხაზები მისთვის გზის გადაღობას ცდილობდნენ, მაგრამ ისინი კოდორს იქით გადაისროლეს, კოლონამ კი სოფელი დაიკავა და ცეცხლს მისცა იგი... ჯგერდის დაკავებამ, მდ. მორქვის ხაზზე ჩვენს მყარ მდგომარეობასთან კავშირში, ოჩამჩირეში თურქების დესანტის ბედი გადაწყვიტა: ხმელეთიდან თითქმის გარშემორტყმულმა და კოდორის მონაკვეთის მოსახლეობას მონყვეტილებმა, მათ 19-დან 20-ის ღამეს დატოვეს ოჩამჩირე... თურქების ოჩამჩირედან მოცილებით ჩვენს ხელში გადადიოდა კოდორის მთელი მონაკვეთი, რადგანაც აფხაზების წერილობრივი ჯგუფებთან ზრძოლა ჩვენთვის არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენდა... თურქების მიერ აფხაზეთში გამოგზავნილმა მნიშვნელოვანმა ძალამ და იმ შეუპოვრობამ, რომლითაც ისინი ენგურის რაზმს წინააღმდეგობას უწევდნენ, გენერალი ალხაზოვის ჯარებთან თანამშრომლობისთვის სოჭისა და მარუხის ორი ახალი რაზმის ჩამოყალიბება გამოიწვია. პოლკოვნიკ მელკონიკოვს ებრძა, აფხაზეთში შესვლის შემდეგ მდინარე ბზივამდე მისულიყო და მოსახლეობა დაეტყველებინა... თუ ამ ოპერაციის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა, შეტევა გაეგრძელებინა... მდინარე ხუფსტამდე ან გუდასამდე; შემდეგომი წინსვლა სოხუმისკენ დაშვებული იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ წინ მონინალმდეგის

მნიშვნელოვანი ძალები არ აღმოჩნდებოდა... 8 აგვისტოს ის რაზმის უმეტესი ნაწილი მიადგა მდ. ბზივს და კალდახარის გადასასვლელი დაიკავა. აქ მასთან ხალხის დეპუტაციებმა დაინწყეს სვლა, მორჩილების გამოსაბრუნებელი და ჩივილით თურქების მხრიდან შეეინტოვებზე, აგრეთვე, იძულებით გადასახლებაზე თურქეთში... 12-ში გამთენიისას გუდასთა დაკავებული იქნა... ყუბანის ოლქის ჯარებისგან შედგარი მარუხის რაზმი გენერალ-ლეიტენანტ ბაბინის ხელმძღვანელობით გამწვანელონის იყო ენგურის და, ხელსაყრელი პირობების არსებობისას, სოჭის რაზმთან ერთობლივი მოქმედებისთვის აფხაზებისა და სოხუმში მოძრაობისთვის თურქული ჯარების წინააღმდეგ... ჯერ კიდევ 5 აგვისტოს ღამით გენერალმა ბაბინმა გენერალ ალხაზოვთან 5 მილიციელი გაგზავნა და ბარათები გაატანა, რომლებშიც ატყობინებდა მარუხის რაზმის მშვიდობიანად გადასვლას უღელტეხილებზე და ეკითხებოდა გემების შესახებ. გენერალი ალხაზოვის 11 აგვისტოს მიღებული პატაკის მიხედვით, 9 აგვისტოს მათ კოდორში გადასვლა ჰქონდა კონკრეტული, ამასთან ენგურის რაზმის ავანგარდი, მის კვლადკვლავ კი მთავარი ძალები სოფ. ნაას მოპირდაპირედ უნდა გასულიყვნენ სოხუმის მთავარ გზაზე, რომლითაც მდ. კელასურისკენ გაემართებოდნენ; გენერალმა ბაბინმა შავი ზღვის პოლკის ასეული და მილიციელითა რაზმის ნაწილზე ნებულდის მიმართულებით გავიდა და ამ პუნქტამდე 2,5 ვერსზე ამტკილალაში გაწვავდა... 12-ში დილაადრიან მდ. კოდორზე ჯარების გადასვლა დაიწყო... ამ დღეს (18 აგვისტოს — შემდეგ) გენერალ ბაბინთან შემდგომ თათბირს ესწრებოდნენ: სოჭის რაზმის მეთაური პოლკოვნიკი მელკონიკოვი და ენგურისა და მარუხის რაზმების შტაბის უფროსები. რაზმები საერთო შეტევის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ წინ მონინალმდეგის

ათისთვის მარუხის რაზმი გუდასთა ხეობის წინ და ნანალობრივ — მის გამოსასვლელთან უნდა ყოფილიყო. სოჭის რაზმი — ჩხოროხუს ქედზე; ენგურის რაზმის ბატალიონი და 4 ოთხგირვანი ქვემეხი — სოფელ ბრცთან, ხოლო დანარჩენი ჯარები — ამ რაზმის ავანგარდის განლაგების მახლობლად. ენგურის რაზმს ავანგარდის სიმაღლეების დაკავება ევალებოდა, მარუხის რაზმს და მომცრო კოლონას ბრეტთან — წრდილოეთ ბატარეის და გუდის ხეობიდან სოხუმისკენ მიმავალი გზის დაკავება, ხოლო სოჭის რაზმს — „ტრაპეციაზე“ უკიდურეს დასავლეთ თურქულ სიმაგრეებზე შეტევა... „ტრაპეციაზე“ სოჭის რაზმის გამორჩენასთან ერთად მარუხის რაზმის მონინავე ნაწილები დაუყოვნებლივ გადავიდნენ შეტევაზე... სოჭისა და მარუხის რაზმების მოძრაობასთან ერთად შეტევაზე ენგურის რაზმიც გადავიდა... დღის 8 საათზე (20 აგვისტოს — შემდეგ) თურქეთის ესკადრამ კელასურზე მყოფი ბოლო თურქული რაზმი აიყვანა და ჯავშნოსნების დაცვის ქვეშ გავიდა ზღვაში... სოხუმისკენ წამოწვილმა პიკეტებმა ყოფილი ქალაქის ადგილზე აკვამლებული ნანგრევები და მტრისაგან დახოცილი რქოსანი პირუტყვის უზარმაზარი მასა იხილეს. ჩვენი ჯარების სოხუმში დარჩენა უკვე არაფრისმომტანი და შეუქმლებელი იყო: ქალაქი აღარ არსებობდა, მის გარშემო მცხოვრებელი მოსახლეობა დედა-ბუდიანად გადაიხვეწა თურქეთში, ხოლო საქონლის გახრწილი ლეშით სავსე ქუჩები და ახლომდებარე მიწები ემუქრებოდა. ამის შედეგად სოხუმის ყურდანი მტრის გემების გასვლის შემდეგ სამივე რაზმის განლაგებისკენ დაიხიეს, სოხუმში მხოლოდ კაზაკთა ორი პიკეტი დატოვეს. იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთმა ყველანაირი სამხედრო მნიშვნელობა დაკარგა, აგრეთვე, მცირე აზიში ომის სხვა მოთხოვნათა ძალით გადაწყდა სოხუმის მონაკვეთში დაცვისათვის აუცილებელი ჯარების ნაწილი დარჩენილიყო, მარუხისა და სოჭის რაზმები კი მათი განლაგების ადგილებში დაებრუნებინათ...



გამოვიდა საეხსნიარო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეორე ნომერი

ჟურნალი დღევანდელი აქტუალური საკითხებისა და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსა და კულტურის მიმოხილავს. პრობლემები, რომლებზეც «ისტორიული მემკვიდრეობის» ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევა მკითხველთა ყურადღებას, რადგან «ისტორიული მემკვიდრეობა» საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს. ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაცია — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულით სარი, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უნივერსალურ ნაშრომს მოვლავს. კრებული იკავებს მრავალფეროვნებას, რამეთუ პოლიტიკური კონსენსუსის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს ნაწილ სინამდვილას. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით განსაზღვრულ მრავალფეროვნებას, გამოვიდნენ უნივერსალური და აქტუალური. მსურველებს კრებულის შეკვეთის შესახებ უნდა დაეხმარებინათ. დაამატებითი ინფორმაციისათვის დააკავშირეთ: 38-41-97.

რატომ არ უზვანდის მსუქნებს ინტერნეტი?

გაცნობის საიტმა „BeautifulPeople.com“-მა იმ სუთი ათასამდე მომხმარებლის ანკეტა გააუქმა, რომლებმაც საშობაო არდადეგების განმავლობაში წონაში მოიმატეს.



გასაუქმებელი ანკეტები მომხმარებელთა მიერ ბოლო დღეებში განთავსებული ფოტოების მიხედვით შეირჩა. როგორც შემდგომში გაირკვა, გასუქებული მომხმარებლების მიმართ ასეთი სიმკაცრის მიზეზი სხვა

მომხმარებელთა მოთხოვნა გახდა. ამ უკანასკნელთა აზრით, სიმსუქნე სილამაზის სტანდარტებს არ შეესაბამება. ყველაზე ბევრი გასუქებული მომხმარებელი აშშ-ის, კანადისა და ბრიტანეთის მოქალაქეებს შორის აღმოჩნდნენ. როგორც სერვისის დამატარებელმა რობერტ ჰინტონმა განაცხადა, ნებისმიერი მომხმარებლის დაკარგვა მისთვის სამწუხაროა, მაგრამ ამინისტრაციისათვის აუცილებელია სილამაზის უმაღლესი სტანდარტების შენარჩუნება. „თუ მსუქნებს საიტზე ბოდილის უფლებას მივცემთ, ჩვენს ბიზნეს-მოდელსა და კონცეფციას, რომლისთვისაც შექმნა სერვისი, პირდაპირი საფრთხე შეექმნება“, — განაცხადა მან.

ვინ იხვამს ყველაზე სულელურად?

ნლის მამაკაცთა შორის ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმულთა სიას სათავეში ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი გორდონ ბრაუნი ჩაუდგა.

უნდა ითქვას, რომ ბრაუნის მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს — შარშან ის იმავე სიაში მხოლოდ მესამე ადგილზე გახლდათ; წლებადღეს ნარმატებას კი იმას უნდა უმაღლოდეს, რომ მისი ჩაცმულობა, განთქმული „ბრიტანული სტილის ნიმუშის გარდა, ყველაფერს ჰგავს“. ყველაზე სულელურად ჩაცმულთა ათეულში ბრაუნის შემდეგ ადგილები გაინაწილეს კომედიური ჟანრის მსახიობმა რასელ ბრანდომ, ჩრდილოკორეელმა ლიდერმა კიმ ჩენ ირიმ, ლონდონის მერმა ბორის ჯონსონმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ. ამ უკანასკნელზე სის შემდგენლობა იხუმრეს



კიდევ — ჯობს, საკუთარ სიმაღლეზე დარდს შეეშვას და ჩაცმულობის სტილზე იდარდოს.

ვინ ინაღიკებს მგლებზე?

2 იანვარს, უკანასკნელი 45 წლის მანძილზე პირველად შედეგთუ მგლებზე ნადირობა ცხადდება.



ნინათ დაადგინა, რომ მგლების რაოდენობამ 210-ს არ უნდა გადააჭარბოს. რაოდენობრივ ზღვარს პოპულაციამ 2009 წლის ზაფხულში გადააჭარბა და სწორედ ამიტომაც გაიცა მათზე ნადირობის ნებართვა. 1970-იანი წლებიდან სამხრეთ სკანდინავიაში მგლები გადაშენების პირას აღმოჩნდნენ, შედეგებისა და ნორვეგიის სახელმწიფო ტყეებში მათზე ნადირობის სრული აკრძალვა დაინერგა. ამ მიდგომამ იმდენად გაამართლა, რომ ნორვეგიამ ჯერ კიდევ 2001 წელს დაუშვა მგლებზე ნადირობა.

გარემოს დაცვის შედეგად სააგენტომ, პოპულაციის კონტროლის მიზნით, 27 მგლის მოკვლის ნებართვა გასცა. მგლის მონადირების იშვიათი შესაძლებლობით სარგებლობას ათი ათასამდე მონადირე აპირებს. სხვადასხვა მონაცემებით, შედეგების ველურ ბუნებაში სულ 180-დან 220-მდე მგელი ცხოვრობს. პარლამენტმა ცოცხალი მონადირეების რაოდენობა 210-ს არ უნდა გადააჭარბოს. რაოდენობრივ ზღვარს პოპულაციამ 2009 წლის ზაფხულში გადააჭარბა და სწორედ ამიტომაც გაიცა მათზე ნადირობის ნებართვა. 1970-იანი წლებიდან სამხრეთ სკანდინავიაში მგლები გადაშენების პირას აღმოჩნდნენ, შედეგებისა და ნორვეგიის სახელმწიფო ტყეებში მათზე ნადირობის სრული აკრძალვა დაინერგა. ამ მიდგომამ იმდენად გაამართლა, რომ ნორვეგიამ ჯერ კიდევ 2001 წელს დაუშვა მგლებზე ნადირობა.

თალიბები თუ ნარკოტიკები?

ნატოს სურს, რომ რუსეთმა ავღანურ ოპერაციაში მონაწილეობა გააფართოვოს, კერძოდ, ალიანსს ვერტმფრენები, სანავი და მფრინავები მიაშველოს. ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა რუსეთის პრეზიდენტთან — დიმიტრი მედვედევთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.


„რუსეთს ავღანეთში მონაწილეობის განმტკიცება შეუძლებელია“, — განაცხადა გენერალურმა მდივანმა და დეა-კონკრეტა, რომ წარადგინა „სპეციფიკურ ნინადადებათა ჩამონათვალი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეძლებდა რუსეთი ავღანეთში უფრო აქტიურ მონაწილეობას... საჭიროა დიდი შესაძლებლობები ვერტმფრენებით უზრუნველყოფა, ასევე, მფრინავების მომზადება, სათადარიგო ნაწილებითა და სანავი მომარაგება“.

მან ასევე დააყენა ავღანეთში პოლიციური ძალების მომზადების გაღრმავებისა და გაფართოების საკითხი და ნატოსა და რუსეთის ერთობლივი ამოცანა — ნარკოტრაფიკთან ბრძოლა — გაიხსენა. როგორც ცნობილია, ვერტმფრენთა პილოტების მომზადების პროცესი ძალიან მალე პირდაპირ ბრძოლის ველზე პრაქტიკულ სწავლებებში გადაიზრდება. იმის გასწვრივაც საკმარისია, რომ ვიეტნამში ამერიკისა და იმავ ავღანეთში საბჭოთა კავშირის შესვლა სწორედ ადგილობრივი სამხედროების ამერიკული და საბჭოთა ინსტრუქტორების მიერ განვრთვით იწყებოდა. შემდეგ კი, უცებ, მრჩველ-ინსტრუქტორებს საზღვაო ქვეითი და საჰაერო-სადესანტო ჯარის დივიზიების გვერდში დგომა დას-

ჭირდათ. ახალ ავღანურ ავანტიურაში ჩაბმა იოლია, მაგრამ მისგან თავის დაღწევა როგორ მოხდება? ნატოსა და რუსეთის ერთობლივ ამოცანაზე — ნარკოტრაფიკთან ბრძოლაზე მინიშნება ხომ გაუგონარი თავხედობაა.

ახლანდელ აშშ-ში ვიზიტისას ნარკოკონტროლის ფედერალური სამსახურის დირექტორმა ვიქტორ ივანოვმა განაცხადა, რომ აშშ-მ ავღანეთში ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით უფრო აქტიურად უნდა იმოქმედოს. მისივე თქმით, ავღანეთში შექმნილი დასაწყობებული მარაგი სუფთა ჰეროინის ექვივალენტში, რომლისგანაც ტრილიონზე მეტი ერთჯერადი დოზის დამზადება შეიძლება... შექმნილია მომავალი თაობის ფონდი, რომელსაც ოპიუმის ფაქტორის მოშენების შეწყვეტის შემთხვევაშიც შეუძლია რუსეთს, ევროპასა და მთელ მსოფლიოს ნახევარი საუკუნის განმავლობაში მალაზხარისხიანი ჰეროინი „გადაუსხას“.

პასუხად ამერიკელმა ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ესმით რუსეთის აღმშრობება ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ თვლიან, რომ აშშ-ს მიმართ კრიტიკა უსაფუძვლოა. ნარკომანიის პრობლემა მოთხოვნის პრობლემაა და არა — შეთავაზების ვაშინგტონელი ექსპერტის ტედ გელან კარპენტერის



განცხადებით, „აშშ-სა და ნატოს ქვეყნებისაგან ავღანურ ნარკოტიკების დინების შეწყვეტის მოთხოვნით კრემლი განტყვევების ვაცებს ეძებს. არ ვთვლი, რომ ავღანეთიდან ნარკოტიკების დინების შეჩერება საერთოდ შესაძლებელია. ამის გაკეთებას თუ შეეცდებით, ეს ამერიკული პოლიტიკის თვითმკვლელობა იქნება. ნარკოტრაფიკი ავღანეთის ეკონომიკის მესამედზე მეტს შეადგენს და, თუ ჩვენ ოპიუმის ყაყაჩოს ნათესების განადგურებას შევეცდებით, ჩვენს წინააღმდეგ განგანაობთ ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს. ავღანური ელიტის დიდი ნაწილი, მიუხედავად მისი იდეოლოგიური ორიენტაციისა, ნარკოტრაფიკთან ბრძოლაში მონაწილეობას უნდა მიუძღვნოს. ნარკოტრაფიკში არიან ჩართულნი“.

მისივე თქმით, ამ ავღანური ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ კოალიციის ბრძოლას იძულებით შეზღუდული ხასიათი აქვს. ისინი ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ, რომ „თუ კარზაის ხელისუფლების მხარდამჭერი რეგიონალური ლიდერების ან საველე მეთა-

ურების კონტროლირებად ნარკოტიკებს დაიჭერენ, ამით შესაძლოა ჩამალონ აშშ-ს ტერორისტებთან ბრძოლის მისია“.

მაშ, რაში მდგომარეობს ავღანეთში აშშ-ის მისია? ჰამიდ კარზაისა და მისი „ნარკოტრაფიკში ჩართული“ გარემოცვის დაცვაში? კარზაი ამისთვის სასამართლოსთვის ხომ არ უნდა გადაგვეცა? თანაც თავის დაცვასთან ერთად?

ნიგნის „როგორ აფინანსებს ჰეროინი თალიბანსა და „ალ-ქაიდას“ ავტორი გრეტ ჩენ პიტერის აღნიშნავს, რომ აშშ-ს დიდად არ ადარდება ავღანეთში ნარკოტიკული ჰეროინი, ვინაიდან ის ამერიკაში პრაქტიკულად არ ხვდება.

სამაგიეროდ, რუსეთი ნარკოტიკების მოხმარების მხრივ მსოფლიოს ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა და ახლა სწორედ ამ რუსეთის სთხოვენ, ამერიკელთა მტკიცებით ნარკოტიკების მთავარი მეთაური კარზაის მარიონეტული ხელისუფლების მცველ ნატოელებს ვერტმფრენებით დაეხმაროს. ბარემ ეთხოვთ, განიარაღების მიზნით მთელი ბრიტული არსენალი თავისსავე ქვეყანაში აფეთქებინა...

რუსეთის «ტროას ხსენი» — ევროკავშირში

მართალია, ბულგარეთი 2007 წლიდან ევროკავშირის შემადგენლობაშია, მაგრამ დღემდე ვერ ელევა კომუნისტურ ბანაკისდროინდელ უფროს მძას. მისი ცხოვრებისეული სტილი იმდენად ჰგავს რუსულს, რომ დასავლელი დიპლომატები უკვე წინასწარობიდან გამოდიან, გაუთავებლად საუბრობენ ერთსა და იმავეზე: „ირგვლივ მხოლოდ მაფია და არავითარი მართლმსაჯულება! რაში გჭვრდება ევროკავშირში რუსული მოდელი?“



მდგომარეობა ახლო მომავალში თუ არ შეიცვლება, დიპლომატებმა, შესაძლოა, ბულგარეთისათვის ევროკავშირის მიერ გამოყოფილი 10 მილიარდი ევრო დაბლოკონ. სხვათაშორის, მიუხედავად ეკონომისტთა განცხადებებისა, ბულგარეთის დედაქალაქის მოსახლეობა დაახლოებით ისევე ცხოვრობს, როგორც ევროკავშირის ქვეყნების მსხვილ პროვინციულ ქალაქებში.

1989 წლის მოვლენების შემდეგ სოციალისტებმა ქვეყნმა კომუნისტურმა ლიდერებმა ქვეყნის მთელი აქტივები დაინაწილეს. ზუსტად იგივე მოხდა ბუქარესტსა და ბუდაპეშტში (თუმცა ნაკლები მასშტაბით). რაც შეეხება ეთნიკურ ნაციონალიზმს, რომელსაც მეორე ბანაკში გადასული ექს-კომუნისტები იყენებდნენ, აქ ის თურქების წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგრამ დღეისათვის ეს ამბავი მხოლოდ მოგონებებს შემორჩა. 1989 წლიდან მუსლიმანებმა და თურქებმა დანარჩენი ბულგარელების მსგავსი უფლებე-

ბი მიიღეს. მაშ, რა მიზეზი აქვს ევროპელების ბულგარელებისადმი მტრობას? — რა და ის, რომ ბულგარეთი შედის ევროკავშირში და განაგრძობს ცხოვრებას რუსულად. ასე ვერ გამოვს!

ვისაც ფული აქვს, თავის სიმდიდრეს არ მალავს. „ნათლიმამები“ დაჯავშნული მანქანების კორტეჟებით დადიან. ისინი აკონტროლებენ ბაზრებს და ფულს საკუთარი კლანებისაკენ ქაჩავენ. დანარჩენებს კი ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ. ბულგარეთი XX საუკუნის სიცილიას გავს. მხოლოდ ახლა ევროპის პერიფერიაზე პალატო, ირანდია, შოტლანდია ან პელოპონესი კი არა, რუსეთის განლაგებული ლიტვა, ესტონეთი, ლატვია, პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვენია და რუმინეთი — ყველა მათგანმა ღიად აქცია რუსეთის ზურგი და, მიუხედავად იმისა, რომ ენერგომატარებლებთან დაკავშირებით მასთან მოლაპარაკება უნევთ, მისდამი ზიზს მაინც არ მალავენ. სწორედ ეს რუსეთისადმი მიზიდული გამოიღვრა გერმა-

ნიისადმი სიყვარულში, მიუხედავად იმისა, რომ ნაცისტური ოკუპაციის კომარეები არაფის დაინყებია. 2009 წლის თებერვალში ბულგარეთის პრეზიდენტი გეორგ პირვანოვი რუსეთში ბულგარეთის წლის გახსნას დაესწარა. მაშინ მან თქვა, რომ „ბულგარელი ხალხის ისტორიულ მესხიერებაში დრომ ვერ ნაშალა მოგონებები ბულგარეთის თავისუფლებისთვის მებრძოლი რუსი ჯარისკაცების გმირობებზე“. ეს ცენტრალური ევროპის ნარკოტიკების ქვეყნებისათვის წარმოუდგენელი განცხადებაა.


კავშირში რუსეთის ტროას ცხენია. ახალგაზრდა ბულგარელები კი თვლიან, რომ ბულგარელები იოლად დასამორჩილებელი ხალხია. მართლაც, საუკუნეების მანძილზე განვითარებული ფაქტობრივი ბულგარული მენტალიტეტის განუყოფელ ნაწილად იქცა და ადამიანთა ცნობიერებაში უკვე მტკიცებდა გამჯდარი — მაინც არავფერი გამოვსა და არც არაფრის გაკეთება ღირს.

რას ელოდება ევროკავშირი და რატომ ტყეპნის ერთ ადგილს ნაცვლად იმისა, რომ რეფორმების მომხრე პოლიტიკოსებს აქტიურად დაუჭიროს მხარი? რატომ შემოიფარგლება ყველა ფინანსური დახმარების კომარული პირობებით? ქვეყნის კურსის კორექტირება ხომ სწორედ მისი საქმეა, ვინც ფულს იძლევა? ფულს ბრიუსელი იხვეთავს... არ რად უნდოდა ევროკავშირის ბულგარეთის თავის რიგებში, თუ მას საკუთარ პირობებს წინასწარვე არ დაუყენებდა?

სოფიაში ბრიუსელს ძალიან სუსტად მიიჩნევენ და თვლიან, რომ ის მზად არაა გადამწყვეტი ზომების მისაღებად. ევროკავშირი კი კუს ნაბიჯებითა და ისეთი სიფრთხილით მიდის წინ, თითქოს თავადვე რცხვენოდეს საკუთარი დემოკრატიული ღირებულებების წარმოჩენისა.

ლიტვაში აპარიკულ სისხეებში ტყვეებს ნაგებობით კლავდნენ

„ქარვისებური მოგერიება“ — ასეთი სახელწოდება მიიღო ცხს-სა და სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის ერთობლივმა ოპერაციამ, რომელიც „ალ-ქაიდას“ ავღანეთში შეპყრობილი ბოვეიკების ლიტვაში გამწვანებას გულისხმობდა. ოპერაციის მიზანი იყო, ჩაეტარებინათ ინტენსიური ნაგებობის სესიები „მიღებულ მასალასთან“, რათა ექსტრემალური მუსლიმანური ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ „ღირებულ ინფორმაცია“ მოეპოვებინათ.



ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული ცხს-ს ციხეების თაობაზე ლიტვის სემის გამოძიება, სიცრუით თუ არა, ზედპირულობითაც გასაოცარია. ხრიკები ისევე ძველი და ყველასათვის კარგად ნაცნობია: დაიხ, ციხეების ორგანიზება მოხდა, მაგრამ არაა ცნობილი, შეიყვანეს თუ არა იქ ტყვეები. დაიხ, ლიტვაში დაეშვა გაურკვეველი წარმომავლობის თვითმფრინავები, მაგრამ საჭიროა იმის დამტკიცება, რომ ამ თვითმფრინავებით სწორედ „ალ-ქაიდას“ ბოვეიკები ჩამოიყვანეს.

ლიტვაში ცხს-ს რეზიდენტურას რამდენიმე სერიოზული პრობლემის მოგვარება მოუხდა. ციხეების გახსნის წინააღმდეგ იყო ქვეყნის მამოძღვრელი პრეზიდენტი როლანდას პაკსასი, რომელმაც მოგვიანებით საკითხის გამოძიებით დაკავებულ საპარლამენტო კომისიას უამბო, რომ 2003 წელს სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის დირექტორმა ლაურინკუსმა კონფიდენციალურ საუბარში მას აშშ-ს მიერ ტერორიზმში დადანაშაულებული ადამიანების ლიტვაში არაოფიციალური შეყვანის ნებართვა სთხოვა. ლიტვის მიერ ხელმოწერილი გაეროს ადამიანის ნამების საწინააღმდეგო კონვენციისა და ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის საწინააღმდეგო, აგრეთვე, ლიტვის კანონმდებლობით აკრძალულ (ნაგებობის მეთოდით აღიარების მოპოვებისა და სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ადამიანის დაკავების) ქმედებებზე პრეზიდენტისგან კატეგორიული უარის მიღების შემდეგ ლაურინკუსმა გენერალურ პროკურატურას გადასცა ცნობა, რომელიც ამტკიცებდა, რომ პაკსასი საერთაშორისო დამნაშავეებთან კავშირში იმყოფება და ეროვნული უსაფრთხოებისათვის საფრთხეს წარმოადგენს.

ნიტვის ტერიტორიაზე ცხს-ს საიდუმლო ციხის არსებობის ფაქტი დაუდასტურა. ახლა ანალიტიკოსები ასკვნიან, რომ ცხს-ს საიდუმლო ციხის შექმნაზე უარით პაკსასმა ლაურინკუსს კი არა, ამერიკას მიაყენა შეურაცხყოფა. ვილნიუსი კი მხოლოდ ახლა მოეგო გონს აშშ-ის მიერ პატარა, მაგრამ ამჟამად ლიტვის შიდა საქმეებში ესოდენ უხეში ჩარევის თაობაზე.

ლიტვის პრეზიდენტობიდან პაკსასის ესოდენ იოლად ჩამოშორების შემდეგ მისი ადგილი ამერიკული პასპორტის მფლობელმა, ჯორჯ ბუშის თაყვანისმცემელმა, ხანდაზმულმა ვალდას ადამკუსმა დაიკავა.

უნდა აღინიშნოს, რომ 2003-2006 წლებში ლიტვაში აშშ-ის საელჩოს ცხს-ს თანამშრომელი სტეფან დონალდ მალი ხელმძღვანელობდა. სწორედ მისი კონტროლით მიმდინარეობდა ვილნიუსის მახლობლად განლაგებული ცხს-ს ციხეების მთელი ეპოპეა. ამ საქმეში ლიტვის მხარეს სხვადასხვა დროს სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის ხელმძღვანელები არვიდას პოციუსი და მეჩის ლაურინკუსი წარმოადგენდნენ. სწორედ ამ სამსახურის ყველაზე კარგად შემონახული თანამშრომლების ძალისხმევით მოქმედებდნენ საიდუმლო ციხეები. ზოგიერთი მათგანი ნებაყოფლობით უწყვედა ასისტენტობას ამერიკელებს ტყვეების წყალში ჩაძირვის, ხმაურითა და სინათლით დაუძღვრების, ელექტროშოკის, თავზე პოლიეთილენის ტომრების ჩამოცმისა და სხვა მეთოდების გამოყენებით ნამების საქმეში. და არა მხოლოდ ემბარგოდნენ, ცდილობდნენ, რაც შეიძლება „უკეთ“ წარმოეჩინათ საკუთარი შესაძლებლობები ამერიკული „პატრონების“ (სწორედ ასე უწოდებდნენ მათ ლიტველები) წინაშე. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ამ მცდელობების შედეგად ცხს-ს ლიტვაზე ციხეებში ასევე ერთ ტუსაღს ამოხდა სული ნამებში. იქნებ სწორედ ამის გამო წამოსცდა ლიტვის ამჟამინდელ პრეზიდენტს — დალია გრიბაუსკაიტეს, რომ გამოძიების დასრულების შემდეგ ლიტვა „შესაძლოა საერთაშორისო ტერორისტთა სამიზნედ იქცეს“.

ამ ლოგიკის მიხედვით, ცხადი ხდება, რომ აშშ-ის ერთგული და, რაც მთავარია, ყველაფერზე ნამსვლელი ლაურინკუსი ელჩად სწორედაც თბილისში — რუსეთის მიმართ ქართულ-ლიტვური წინააღმდეგობის წინა საზღვრზე უნდა გაეგზავნათ. მით უფრო, რომ, როგორც ამბობდნენ, ლიტვის ანალოგიურად ცხს-ს საიდუმლო ციხე საქართველოს ტერიტორიაზეც ფუნქციონირებდა.

15 დეკემბერს ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ, როგორც თავად განაცხადა, პოლიტიკანობის გამო, საქართველოში ლიტვის ელჩი, ნარსულში უშიშროების დირექტორი მეჩის ლაურინკუსი თანამდებობიდან გაათავისუფლა და ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის მიხედვითაც ელჩს თბილისი 24 საათის განმავლობაში უნდა დაეტოვებინა. როგორც ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გაირკვა, 2008 წლის ომის დასრულებისთანავე, 2 სექტემბერს აბსოლუტურად მოულოდნელად ესპანეთში ლიტვის ელჩობიდან გამომხობილი და თბილისში ელჩად მოვლენილი ლაურინკუსი ერთგულებითა და თავგანწირვით ლიტვას კი არა, აშშ-ს ემსახურებოდა.

ეს ბავშვური ბოვეა ეწინააღმდეგება ლიტვის მასმედიასში ჯერ კიდევ საპარლამენტო გამოძიების დაწყებამდე გამოქვეყნებულ ყველა მასალას. ფაქტები კი ჯოტად ირწმუნება, რომ 2003-2005 წლებში ქვეყანაში არაღვარად, სამართალდამცავებისა და საზოგადოებისაგან გულდასმით გასაიდუმლოებულ პირობებში მოქმედებდა, სულ მცირე, ორი ციხე, რომლებიც ცხს-ს საჭიროებებისათვის იყო განკუთვნილი.

ერთი რუდნიკაში მდებარეობდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის საეკვიპოვო განაშენიანების ცენტრით ინიცირებოდა, მეორე კი — ანტიკორუპციული, გოვლენიანი ჩინოვნიკებისა და ბიზნესმენების კორტეჟებს შორის იყო ჩამაღული. პირველი ციხე ვილნიუსიდან 40 კილომეტრით იყო დაშორებული, მეორე კი — მხოლოდ 20-ით. დროის ეკონომიის მიზნით, დედაქალაქთან ახლომდებარე სანამებელი ცენტრი უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდა. ადრე მის ადგილას სპორტული ბაზა იყო განლაგებული, მაგრამ ხელისუფლების ძლიერი ზენოლის შედეგად მისი მფლობელები იძულებულნი გახდნენ, ბაზა აშშ-ში ცხს-ს ხაზით დაარსებული კომპანიისთვის „ELITE-LLC“-სთვის მიეყიდათ.

„ქარვისებური მოგერიების“ ორგანიზებისათვის

ოღნავ მოგვიანებით გაირკვა, რომ ყოფილი პრეზიდენტის მიმართ ყველა ბრალდება შეითხინილი იყო. პაკსასმა სასამართლო წესით დაიბრუნა ორბი და სახელი, მაგრამ არა — თანამდებობა. თანამდებობიდან დათხოვნამდე რამდენიმე დღით ადრე კი ლაურინკუსმა პარლამენტს ქვეყ-

ნის ტერიტორიაზე ცხს-ს საიდუმლო ციხის არსებობის ფაქტი დაუდასტურა. ახლა ანალიტიკოსები ასკვნიან, რომ ცხს-ს საიდუმლო ციხის შექმნაზე უარით პაკსასმა ლაურინკუსს კი არა, ამერიკას მიაყენა შეურაცხყოფა. ვილნიუსი კი მხოლოდ ახლა მოეგო გონს აშშ-ის მიერ პატარა, მაგრამ ამჟამად ლიტვის შიდა საქმეებში ესოდენ უხეში ჩარევის თაობაზე.



საიდან დაიწყო ხელეთზე სისოსხლე?

პალეონტოლოგებმა იმ ცხოველების ნაკვალევი აღმოაჩინეს, რომლებიც ხმელეთზე 20 მილიონი წლით ადრე დაიდრდნენ, ვიდრე ეს აქამდე იყო მეცნიერებისათვის ცნობილი. პოლონეთში ნაპოვნი გაქვავებული ნაკვალევი 397 მილიონზე მეტი წლისაა.



მეცნიერთა აზრით, ამ აღმოჩენამ შესაძლოა ხერხემლიანთა ევოლუციის თაობაზე პალეონტოლოგთა წარმოდგენები მთლიანად შეცვალოს, ვინაიდან ეს ხერხემლიანების ხმელეთზე გამოსვლის დროს მილიონობით წლით უკან სწევს.

აღმოჩენის თანახმად, ხმელეთის უძველესი ზინადარნი თანამედროვე ნინაგების მაგვარი ცხოველები იყვნენ და ჩვეულებრივი ამოიბიების მსგავსად ცხოვრობდნენ. ხმელეთის პიონერთა სიგრძე დაახლოებით ორ მეტრს აღწევდა, გადაადგილებისათვის კი ისინი ოთხ კიდურს იყენებდნენ. თანამედროვე მეცნიერების შეხედულებით, ხმელეთის პირველი მკვიდრი იმ თევზებისაგან წარმოიშვნენ, რომელთაც გადაადგილება ფარფლებზე დაყრდნობით შეეძლოთ და წყალში ცხოვრების პერიოდშიც ხანდახან მაინც გამოდიოდნენ ნაპირზე. ამგვარ უძველეს არსებად ამ დრომდე ახლანდელი კანადის ტერიტორიაზე 375 მილიონი წლის წინ მცხოვრები „Tiktaalik roseae“ ითვლებოდა.

ვის დაეახსენ უფასოდ?

აშშ-ს ჯორჯიის შტატში დამკრძალავმა ბიურომ ყველას, ვინც ახალი წლის დღეებში საქვსთან ნასვამ მდგომარეობაში დაჯდებოდა, სახალწლო საჩუქრის სახით უფასო დაკრძალვა დაუწესა.



მძღოლებს შეეძლოთ, წინასწარ მისულიყვნენ დამკრძალავ ბიუროში, განეცხადებინათ, რომ სახალწლოდ მთვრალ მდგომარეობაში აპირებდნენ ავტომანქანის მართ-

ვას და გაეფორმებინათ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც უბედური შემთხვევის შემდეგ უფასო დაკრძალვის უფლებით ისარგებლებდნენ. სასაჩუქრე პაკეტში შედიოდა კუბოსა და საფლავის ადგილის არჩევა, სხეულის მოვლა-პატრონობა და ლიმუზინი დაკრძალვის ცერემონიისათვის. როგორც თავად დამკრძალავ ბიუროში განაცხადეს, მათი ოპერაცია, სახელწოდებით „შეჩერდი და დაფიქრდი“ მათ გამოსაფხიზლებლად და სიცოცხლის გადასარჩენად იყო მოწოდებული, ვისაც თავად მოქმედებაზე გადასვლამდე დაფიქრების უნარი ლალატობს.

ბრიტანელმა ურნალისტებმა ფულის ეკონომიისათვის ყველაზე უცნაური რჩევების სია შეადგინეს.

როგორ ზოგავენ ეპროკაუნი?



სიაში შევიდა კომუნალური გადასახადების ხარჯზე დაზოგვის უამრავი ვერსია. მაგალითად, იმისათვის, რომ სახლის გათბობაზე ნაკლები დაიხარჯოს, ბრიტანელების აზრით, სრულად უნდა იქნეს გამოყენებული კატების პოტენციალი — გაათბონ ადამიანი. ელექტრო ენერჯის გადასახადის შესამცირებლად სახლიდან ნასვლისას უნდა გაითიშოს კარზე დაყენებული ზარი. სადილზე დაზოგვისათვის შეიძლება, სადილის საათებში ბავშვები მეგობრებთან გაუშვა სათამაშოდ, მისალოცი ბარათების დამზადება კი შარშანდღეების ნაკუნებისგანაც შეიძლება.


ამ ყველაფრის გარდა, რეკომენდირებულია ძირს დაყრილი წვრილი მონეტების შეგროვება, რადგან სწორედ ამ მეთოდით ბრიტანელმა წყვილმა 12 წლის მანძილზე 360 ათასი ფუნტი შეაგროვა.

გარეგნობითაც საოცრად ჰგავდა ნიკალას


ერთ დროს პატარა თბილისში მალაკენების ბაზარი იყო. იქვე კი მალაკენების ქუჩაზე თბილისურ ეზოში კიბის ქვეშ ნიკალა ფიროსმანაშვილი ცხოვრობდა. როგორც გადმოცემით ვიცით, მხატვარ ნიკალას მთელი თბილისი იცნობდა, დუქნებსა და მაღაზიებში ეპატიუებოდნენ, ერთ ბოთლ ღვინოზე შედეგებს ქმნიდა. ჩვენს დროში დიდ თბილისში, ზემელზე, მელიქ კახარიანის სახლში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მხატვარი თენგიზ მირზაშვილი, მეტსახელად ჩუბჩიკა, რომელიც ნიკალას ცხოვრებითა და მის მიერ შექმნილი შედეგებით ბავშვობიდან იყო დაინტერესებული. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩუბჩიკა გულახდილობით, პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით, ხასიათითა და, ჩემი აზრით, გარეგნობითაც კი საოცრად ჰგავდა ნიკალას.



ნოში ნავიდეო, როგორი არჩევა ვიცი, უნდა გაჩვენო. პირობა შევასრულეთ, ჩემთვის გავიფიქრე — ასეთი ადამიანები ბევრი რომ იყვნენ ჩვენს პლანეტაზე, სამართალდამცავი ორგანოები დაკარგავდა თავის ფუნქციებს-თქო. საზამთრო სისხლივით ნითელი და თაფლივით ტკბილი აღმოჩნდა. ჩუბჩიკას თვალები სიხარულს ვერ მალავდა. რამდენჯერმე შემასხენა „ხედავ, როგორი არჩევა ვიცი?“ ვუთხარი — ჩუბჩიკა! ან სიზამთროს უშენოდ არ ვიციდი-მეთქი. ბევრი ვისაუბრეთ, ჟურნალ „ნიანგსაც“ შევეხეთ, სიამოვნებით დამთანხმდარედეკოლეგის ნევრობაზე და რამდენიმე ნახატი-კარიკატურაც შემომთავაზა.



ადამიანის მარტო სახელი და გვარი არაფრის მთქმელია. გვარსა და სახელს გაკეთილშობილება სჭირდება, რათა დააფასონ. ცალკე ადამიანი საზოგადოების გარეშე არ არაობაა. სწორედ რომ ამას ადასტურებს საზოგადოების ღირსეული წევრი, მსოფლიო მნიშვნელობის კომპოზიტორი ბატონი გია ყანჩელი. ამ ცოტახნის წინათ „ერთსულოვნების“ ტელარხზე ვუყურე გადაცემას ბატონი გია ყანჩელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ეკრანზე გამოჩნდა დიდი კომპოზიტორის საძინებელი ოთახი. ბატონმა გიამ სანოლის პატარა ტუმბოდან გამოიღო თენგიზ მირზაშვილის ფოტოსურათი და თქვა: „ძილის წინ ამ სურათს ვემყიდობები, დილით კი ვესალმები“. ვფიქრობ, ასეთი დამოკიდებულება ამ ადამიანის ღვაწლის უმაღლესი შეფასებაა, წარმოუდგენლად უმაღლესი, თანაც ისეთი პიროვნებისაგან, როგორც გია ყანჩელი გახლავთ. მირზაშვილის ნახატები საკმაოდ ბევრია კომპოზიტორის გალერეაში.



რჩებოდა ხოლმე, მაგრამ არ ეკარგებოდა... ერთი სიტყვით, მასთან შეხვედრა და ურთიერთობა ნებისმიერ ადამიანს სიამოვნებას ანიჭებდა. არც მე ვიყავი გამონაკლისი. მახსოვს ერთი ასეთი შეხვედრა: ზაფხულია. პაპანაქება სიცხეა. ჩუბჩიკა ცივ საზამთროზე მპატიუებს, თანაც ერთი პირობით — საზამთროს მე ავარჩევ, მე ვიყიდი და მე გავჭრიო. ჩემთან სახელოს-

თენგიზ მირზაშვილის შემოქმედება მრავალფეროვანი და მრავალნახანგოვანია. იგი ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან იყო დაინტერესებული არქიტექტურული ძეგლების დათარიღებით. ფეხით აქვს შემოვლილი საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული, განსაკუთრებით — სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი. საკვირველი ამასი არაფერია, რადგან მისი მშობლებიც ამ საქმიანობით ყოფილან დაკავებულნი. სწორედაც რომ სვანეთში, კერძოდ მესტიაში, ექსპედიციაში ყოფნისას შეეძინათ მათ ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად თენგიზი დაარქვეს. თენგიზ მირზაშვილმა, სხვა სიკეთესთან ერთად, შეაგროვა ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატების ფოტო ასლები. ამ უზარმაზარი კრებულის გამოსაცემად მომზადებისთვის მან მოიარა ბევრი ქვეყანა, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა. მოსკოვსა და ლენინგრადში მან აღმოაჩინა ფიროსმანის რამდენიმე ნახატის დედნები. ეს საქმეც წარმატებით დაასრულა. ამჟამად მოსკოვში დევს სქელტანიანი მაკეტი, რომლის დასტამბავაც ძვირი სიამოვნებაა და დაფინანსებას საჭიროებს. სამწუხაროდ, თენგიზ მირზაშვილის უდროოდ გარდაცვალებამ მის მიერ ნამოწყებული ბევრი სასიკეთო საქმე შეაჩერა, მაგრამ იმედია, რომ მას გამგრძელებლები გამოუჩნდებიან.

შანი სიხარულიძე

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
<http://www.medianews.ge>

FACT
www.fact.ge
ACM Group

საქართველო
საინფორმაციო სააგენტო
საინფორმაციო სააგენტო
<http://www.geworld.net>
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანაბლიძე, გონდო მკინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანაშვილი
ვებრედაქტორი გორა ხაშტაძე
რეალიზაციის მენეჯერი ღამითი ბუბაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაქიაძე,
რეკლამის მენეჯერი ეთარ კასრაიშვილი (899 110 200)
გაზეთის ხელმძღვანელოვს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net